ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 21 თებერვალი, 2018 №43 (7588) ფასი: 50 თეთრი

## პაატა იმნაძე: „წითელას აფეთქებას აპრილ-მაისში უნდა ველოდოთ“



გვ.2

21 თებერვლიდან

მაკა სეფაშვილის

დანაშაული აღარ მოხდება

„ქართული დეტექტივის“ მე-8 ტომი

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი




# ტელეკომპანია „იბერიას“ ფინანსური პრობლემები შეექმნა




გვ.4

ვახო ხუზმიაშვილი: „ეს იმისათვის ხდება, რომ ტელეკომპანიამ დამოუკიდებელი სარედაქციო პოლიტიკით მაუწყებლობა ველარ გააგრძელოს“



გვ.4



გვ.3

## „ქართულ ოცნებას“ ფაროსანა გადაიყოლებს“

კახა მიქაია: „ადრე საქართველოს ხელისუფალი აზროვნებდა ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, ახლა — პრემიიდან დანამატამდე“

## რატომ აფინანსებს სახელმწიფო ორკაციან პარტიებს?!



გვ.4



გვ.2

მისცემენ თუ არა საქართველოს მესამე პრეზიდენტს გიჟის საბუთს

## მიხეილ სააკაშვილი: „ივანიშვილი და წულუკიანი იქამდეც ვერ მომწვდნენ, სადამდეც მოწვდენა უნდოდა პუტინს“

**სამართალი** გვ.7




გერმანიაში ქურდობის ბრალდებით დაკავებულ საქართველოს 2 მოქალაქეს პატიმრობა შეუფარდეს

გურამ დონაძე ბუტა რობაქიძის დაღუპვის ადგილიდან მტკიცებულებებს ასაჯაროებს




სოსო ბარათაშვილი: „ჩაბუქის საქმისწარმოებაში მნიშვნელოვანია საერთაშორისო და ადგილობრივი გავლენიანი ორგანიზაციების მონაწილეობა“



**ეკონომიკა** გვ.6

## როგორ დავიბრუნოთ გაჩუქებული ქონება?



ემუქრება თუ არა საფრთხე ფშავ-ხევსურეთისა და თუშეთის დაცულ ტერიტორიებს





## რკინიგზა გროზნოდან თბილისამდე — ვის სურვილს ახმოვანებს კადიროვი

ISSN 1987-9385

9 771987 938006

2 დავით სუჯაშვილი: „რუსეთი საფრთხეს წარმოადგენს“

5 მიხეილ დუნდუა: „საპენსიო რეფორმა დავაგვიანეთ“

3 მედიკამენტების საშუალო ფასნამატის მარჟა 102%-ს შეადგენს

6 თემურ ბასილია: „ქვეყანაში ბანკების ლიკვიდობის პრობლემა დგას“

# პაატა იმნაძე: „წითელას აფეთქებას აპრილ-მაისში უნდა ველოდოთ“

ნონა ცაბაძე



„ახალი თაობის" კითხვებს დაავადებათა კონტროლის ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე პაატა იმნაძე პასუხობს.

***– ბატონო პაატა, თბილის 56-ე საბავშვო ბაღის აღსაზრდელი, სავარაუდოდ, ჩუტყვავილას გართულებული ფორმით გარდაიცვალა. ზოგადად, ეს ინფექცია მსუბუქ ფორმებში მიმდინარეობს. რამ გამოიწვია გართულება, რა ხდება?***

– წელს ჩუტყვავილა, ჩვეულებრივთან შედარებით, მოდებულია, თუმცა უკიდურესი იშვიათობაა, როდესაც შეიძლება, ეს დაავადება ფატალურად დასრულდეს. იშვიათად, მაგრამ, სამწუხაროდ, ხდება ხოლმე ასეთი ტრაგიკული შემთხვევები ჩუტყვავილას დროს.

***– რამდენი შემთხვევაა დაფიქსირებული?***

– ყოველწლიურად ჩუტყვავილას 8-10 ათასში შემთხვევა აღირიცხება. ასეთი შემთხვევა კი რამდენიმე წელიწადში ერთხელ შეიძლება მოხდეს, რომ ჩუტყვავილას ასეთი მძიმე მიმდინარეობა იყოს და ასე ტრაგიკულად დამთავრდეს.

***– სხვა დაავადების პარალელურად მიმდინარეობდა თუ რატომ დადგა ასეთი მძიმე შედეგი?***

– ჩვეულებრივ ეს ხდება ხოლმე, როცა რაღაც თანმხლები ჯანმრთელობის პრობლემებია.

***– საგრძნობლად არის მომატებული ჩუტყვავილათი დაავადების შემთხვევები?***

– ზოგადად, წელიწადში არის 8-10 ათასი შემთხვევა. შარშანწინ იყო 10 ათასი, შარშან იყო 8 ათასი. წელს შედარებით ნაკლებს ველოდებით. ორსამ წელიწადში ერთხელ ცოტას იკლებს ხოლმე, მერე ისევ იმატებს. იმდენი არ იქნება, რამდენი ბოლო ორი წლის განმავლობაში, მაგრამ მაინც საკმაოდ ბევრი შემთხვევა იქნება. ყველაზე ხშირად ეს არის ხოლმე. ათასობითაა.

***– რასაც ვერ ვიტყვით წითელაზე, რომელსაც ასეთი მასშტაბური სახე არ ჰქონია. ჩვენ მოვისმინეთ განცხადებები, რომ აჭარაში ეპიდაფეთქებაა. რამდენად საგანგაშო სიტუაციაა?***

– ჯერჯერობით ეპიდაფეთქებაზეა ლაპარაკი. შეიძლება ითქვას, რომ აჭარაში ეპიდაფეთქებაა, ხოლო დანარჩენ საქართველოში, პრინციპში, მატულობს. თუ დროულად არ აიცრება, ვინც ასაცრელია, წითელა ასე მარტივად არ გაჩერდება. უნდა იცოდნენ მშობლებმა და ზოგადად ყველამ, რომ წითელა გაცილებით რთული დაავადებაა, ვიდრე, ვთქვათ, ჩუტყვავილა და გაცილებით უფრო მძიმე გართულებები აქვს.

***– ბავშვებში?***

– ყველა ასაკში. ბავშვები მაინც ხდებიან ავად, მაგრამ დიდი უმრავლესობა, ვინც ავად ხდება, მოზრდილები არიან. გარდა ამისა, ყველაზე მეტი, რაც გვაწუხებს, არის ის, რომ წლამდე ასაკის ბავშვები ხდებიან ავად.

***– რატომ წლამდე ასაკის?***

– იმიტომ, რომ დედები, რომლებიც აჩენენ ამ ბავშვებს, არ არიან იმუნურები. ბავშვს ხომ ერთი წლის ასაკში უწევს აცრა. სწორედ ამიტომ ხდებიან წლამდე ასაკის პატარები ავად. დედები, რომლებიც აპირებენ დაორსულებას, ბავშვის გაჩენას, თუკი არ არიან აცრილები, აუცილებლად უნდა აიცრან.

***– ყველაზე რთული სიტუაცია აჭარაშია?***

– ჯერჯერობით კი აჭარაშია, მაგრამ ყველგან დაიწყება, არა აქვს ამას მნიშვნელობა, რომ ამ ეტაპზე აჭარაშია.

***– პიკს რა პერიოდისთვის ელოდებით?***

– დაახლოებით მაისში.

***– თბილისში რა მდგომარეობაა, რა მონაცემები გაქვთ?***

– თბილისშიც არის, რა თქმა უნდა, შემთხვევები, დაახლოებით ოცზე მეტი შემთხვევაა. ცხადია, თბილისშიც მოიმატებს. ძირითადად არის მოზრდილები და წლამდე ბავშვები, თუმცა არიან ისეთი ბავშვებიც, რომლებსაც ეს აცრა გამოტოვებული აქვთ.

***– რამდენად არის საფრთხე, რომ სკოლებსა დ ბაღებში გართულდეს ვითარება? ცნობებს ითხოვენ აცრების თაობაზე და დიდი აჟიოტაჟია.***

– კი, ცნობებს ითხოვენ, იმიტომ, რომ მაქსიმალურად ყველა ბავშვი აიცრას, რომელიც შეიძლება ავად გახდეს.

***– არის მშობლების კატეგორია, რომლებიც მიზანმიმართულად არ უტარებენ ბავშვს აცრებს. ზოგადად, ცუდი პროპაგანდა მიმდინარეობს ვაქცინაციის თაობაზე. შეიძლება, ეს იყოს მიზეზი?***

– ძირითადათ ალბათ ეგ არის მიზეზი, მაგრამ, ზოგადად, რა დალევს უცნაურ ადამიანებს. ისეთ რაღაცებს წერენ ხოლმე, რომ შეიძლება გული გაგისკდეს. არის უამრავი ჯგუფი და ათას სისულელეს აზიარებენ ხოლმე. სამწუხაროდ, ძალიან ბევრი არასწორი ინფორმაცია ვრცელდება და ამიტომაც არის ეგ პრობლემა. ეს არ არის მხოლოდ საქართველოს პრობლემა, სხვა ქვეყნებშიც აქტიურად დგას ეს საკითხი.

***– ეს აცრა, როგორც წესი, ტარდება ერთი წლისა და ხუთი წლის ასაკში, თუმცა შესაძლებელია, მოგვიანებითაც ჩატარდეს?***

– კი ბატონო, გეგმურად ეს აცრა ტარდება ერთი და ხუთი წლის ასაკში. 40 წლამდე საქართველოს ნებისმიერი მოქალაქისთვის აცრა არის უფასო, 40 წლის ზემოთ ასევე უფასოა, ვინც კონტაქტში იყო წითელიან ავადმყოფთან და არ იცის, გადატანილი ჰქონდა თუ არა, ან აცრილია თუ არა.

***– ჩუტყვავილა ჰაერწვეთოვანი გზით გადადის. წითელა?..***

– წითელაც ასევე ჰაერით გადადის. ეს ორი დაავადება გადადის ჰაერით. ამიტომ რთულია თავდაცვა.

***– რა პრევენციები ტარდება ბაღებში, სკოლებში, რა მითითებები გაქვთ გაცემული?***

– წითელაზე შედარებით ადვილია, გამოვავლინოთ ყველა, ვინც არ არის აცრილი და ავცრათ. ჩუტყვავილა, სამწუხაროდ, უმართავი ინფექციაა, მაგრამ ჩუტყვავილა ისეთი რაოდენობით არის ყოველწლიურად, რომ აქ დაცვა ძალიან ძნელია. მთავარია, ყურადღებით ვიყოთ და დროულად მივმართოთ ექიმს. ისეთი იოლი მიმდინარეობა აქვს ჩუტყვავილას, რომ აბსოლუტური უმრავლესობა არ მიმართავს ხოლმე ექიმს. უმჯობესია, ექიმს მიმართონ, რათა გამოირიცხოს რამე გართულება.

***– თუ ბავშვს გადატანილი აქვს ეს დაავადება, შესაძლებელია, კიდევ დაავადდეს?***

– ძირითადად აღარ ხვდებათ, თუმცა 100%-იანი არაფერია მედიცინაში. გამონაკლისები აქაც არის, შეიძლება, გადატანილი ჰქონდეს, მაგრამ მაინც დაემართოს, თუმცა ეს – გამონაკლის შემთხვევებში. ძირითადად აღარ ავადდებიან.

***– გარდა წითლად გამონაყარისა, წითელა რა სიმპტომებით მიმდინარეობს?***

– მაღალი ტემპერატურა, გამონაყარი, შეიძლება, კონიუნქტივიტიც იყოს. პაციენტისთვის მთავარია, რომ როგორც კი ხედავს, მაღალი ტემპერატურა და გამონაყარი აქვს, უნდა მივიდეს ექიმთან. შემდეგ ექიმი გაარკვევს, მას წითელა აქვს, წითურა თუ ჩუტყვავილა. უნდა ვიცოდეთ, რომ წითელას გაცილებით მეტი გართულება აქვს, ვიდრე ჩუტყვავილას.

***– რთული სათქმელია, მაგრამ თბილისში როდის ელოდებით წითელას პიკს?***

– დაახლოებით აპრილ-მაისში. მერე ზაფხულში ცოტას დაგვასვენებს, მაგრამ შემოდგომაზე ისევ მობრუნდება.

***– წითელას ეპიდემია თურქეთიდან შემოვიდა საქართველოშიო. რამდენად სწორი ინფორმაციაა?***

– ასე არ არის. მთელ ევროპაში მოდებულია. შარშან საკმაოდ დიდი აფეთქება იყო ევროპის ბევრ ქვეყანაში. წითელას მოსვლა არსაიდან სჭირდება. აცრილი თუ ხარ, არ დაგემართება და თუ აცრილი არ ხარ, მაშინ დაგემართება.

# მიხეილ სააკაშვილი: „ივანიშვილი და წულუკიანი იქამდეც ვერ მომწვდნენ, სადამდეც მოწვდენა უნდოდა პუტინს“

## მისცემენ თუ არა საქართველოს მესამე პრეზიდენტს გიჟის საბუთს

შორენა მარსაგიშვილი



უკრაინის ხელისუფლების მიერ ევროპაში გაძევებული მიხეილ სააკაშვილი ძველ ფორმას უბრუნდება. მან, უკრაინული ტვირთისგან გათავისუფლებულმა, საქართველოს ხელისუფლებისთვისაც მოიცალა.

სიმართლე რომ ითქვას, სააკაშვილს არც საქართველოს ხელისუფლება ანებებს თავს. 19 თებერვალს, პარლამენტში დიასპორის საკითხთა კომიტეტთან შეხვედრაზე, იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა სააკაშვილი ცუდად მოიხსენია.

მისი დასკვნით, საქართველოს მესამე პრეზიდენტი სავალალო მდგომარეობაშია და მასზე სერიოზულ ლაპარაკს არ აპირებს.

– მიხეილ სააკაშვილს ჩამოართვეს და შეუწყვიტეს უკრაინის მოქალაქეობა. მას არ მოუმართავს მოქალაქეობის მინიჭების მოთხოვნით. სააკაშვილმა განაცხადა, რომ მისთვის საქართველო საინტერესო არ არის. ამის შემდეგ ამ ადამიანზე სერიოზულ საუბარს არ ვაპირებ. ის არის იმ სავალალო მდგომარეობაში, რასაც არცერთ საქართველოს პრეზიდენტს არ ვუსურვებ. თქვენ თუ აქ გამოგგზავნეს, რომ წინმსწრებად მიიღოთ ინფორმაცია, ასე არ ხდება, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

ევროპაში გაჭრილი ჩვენებური, ეტყობა, ყურადღებით ისმენს მეოცნებეთა განცხადებებს და მისგან პასუხმაც არ დააყოვნა. საქართველოს მესამე პრეზიდენტს პასუხი ცოტა უზრდელურად გამოუვიდა, მაგრამ ნაციონალები ძალიან გაახარა.

– მე ვფიქრობ, ყველამ დაინახა ამ ხალხის ტყუილები. ხალხის მოტყუებაში მათ ბადალი არ ჰყავთ. კონკრეტულად ივანიშვილსა და მის ზოგიერთ მინისტრზე მე მახსენდება უინსტონ ჩერჩილი. მას ერთ-ერთ მიღებაზე მიეჭრა ოპონენტი პარტიის წარმომადგენელი ქალბატონი და უთხრა, ბატონო პრემიერ-მინისტრო, თქვენ მთვრალი ხართო, რაზეც ჩერჩილმა ძალიან აუღელვებლად უპასუხა: „ქალბატონო, მე მართლაც ძალიან მთვრალი ვარ, მაგრამ თქვენ ძალიან, ძალიან მახინჯი ხართ, ოღონდ ხვალ დილით მე გამელვიძება და ფხიზელი ვიქნები“. ეს არის ჩემი პასუხი წულუკიანისადმი. ოღონდ, მინდა ვთქვა, რომ ივანიშვილი და წულუკიანი თავიანთი მასშტაბებით იქამდეც ვერ მომწვდნენ, სადამდეც მოწვდენა უნდოდა ივანიშვილის პატრონ პუტინს და ვერც მომწვდებიან. მაგრამ მალე ქართველი ხალხი მისწვდება მათ, სადაც საჭიროა და სათანადოდ აგებინებს პასუხს! – განაცხადა სააკაშვილმა „კურიერთან“ სატელეფონო საუბრისას.

მისმა პასუხმა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები გაამწარა. ისინი ერთი ინფორმაციის შემდეგ დაშოშმინდნენ. უკრაინულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მიხეილ სააკაშვილს შესაძლოა გიჟის საბუთი მისცენ.

უკრაინელი პოლიტიკოსი ვიაჩესლავ ვასლიჩენკო კატეგორიულად მოითხოვს, რომ სააკაშვილს შემოწმება ჩაუტარდეს და დარწმუნებულია, რომ გიჟის საბუთს მისცემენ.

– არ ასვენებს გამჩენი და მისი დამფინანსებელი სოროსი. უკვე რამდენი ხანია ცდილობს უკრაინის დაშლა-დაქუცმაცებას და ეს უტვინო უკრაინელებიც როგორ ეკეკლუცებიან ამ გიჟს. საკუთარი ქვეყნიდან გამოგდებული და ყველასგან მიტოვებული, უკრაინის უფსკრულში გადაჩეხას აპირებს. ვერ ელირსები და მე ვთხოვ მთავრობას, მოახდინოს შესაბამისი რეაგირება ამ სატანის წინააღმდეგ! – წერს თავის ფეისბუქგვერდზე ვასლიჩენკო.

# დავით სუჯაშვილი: „რუსეთი საფრთხეს წარმოადგენს“

## უკავშირდება თუ არა პარლამენტში გახარიას დაბარება დაზვერვის შეფის მოხსენებას

შორენა მარსაგიშვილი

თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე გუშინ, 20 თებერვალს, დაზვერვის შეფს უსმენდნენ. დავით სუჯაშვილი დეპუტატებთან შეხვედრით კმაყოფილი ჩანდა. კმაყოფილი იყო „ქართული ოცნებაც“. ოპოზიცია, ტრადიციულად, უკმაყოფილო იყო, მეტიც, დაზვერვის შეფის მოსმენის შემდეგ მათ პარლამენტში შინაგან საქმეთა მინისტრი დაიბარეს.

გიორგი გახარიასთან გაბაასე-



ბის სურვილი ნაციონალურ მოძრაობას გაუჩნდა.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ქართულ ოცნებას“ ფაროსანა გადაიყოლებს“

შორენა მარსაგიშვილი

**რა ხდება სამეგრელოში, რატომ არაფერს აკეთებს ხელისუფლება და რა არის მისი მთავარი საზრუნავი, რატომ დუმს ხალხი? – ამის შესახებ „ახალ თაობას" ორგანიზაცია „დაიცავი საქართველოს" ლიდერი კახა მიქაია ესაუბრება.**

***– როგორც ჩვენი კოლეგა, ბერდია კალანდია, სამეგრელოდან იუწყება, რეგიონში ფაროსანამ გაიღვიძა. გასულ წელს ამ მავნებელმა მოსახლეობა ულუკმაპუროდ დატოვა. შარშან ხელისუფლებამ დაიგვიანა. წელს თუ აპირებენ რამის გაკეთებას?***

– სამეგრელოში ფაროსანამ მარტო კი არ გაიღვიძა, გაიზმორა კიდევაც. რაც შეეხება ხელისუფლების გამოღვიძებას, მათგან ჯერ არაფერი ისმის. ისინი აქამდე უკვე უნდა დასცხრომოდნენ მავნებელს. შარშანაც იმიტომ დადგა კატასტროფული შედეგი, რომ ხელისუფლებამ რეაგირება დააგვიანა. მაშინ დაუწყო ფაროსანას ომი, როცა მათ მთელი მოსავალი შეჭმული ჰქონდათ.

***– ხელისუფლება ამბობს, რომ სათანადო აქტიურობა არც მოსახლეობამ გამოიჩინა.***

– აქტიურობა ვერ გამოიჩინაო, ხომ? თუ ვინმეს უნდოდა ამ მავნებლის განადგურება, ეს, პირველ რიგში, მოსახლეობა იყო. ამის დაბრალება მოსახლეობისთვის უსინდისობა და დიდი უნამუსობაა!

***– რატომ გიკვირთ, რომ მოსახლეობას დააბრალეს? მადლობა უნდა ვთქვათ, რომ არ გვითხრეს, ფაროსანა თქვენ მოიწვიეთო.***

– მაგასაც იკადრებენ, იტყვიან, სამეგრელოსა და გურიაში საგანგებოდ დაპატიჟეს და კარგი პურმარილიც გაუშალესო. ისე, მართლა არ აკლდა საჭმელი მავნებელს – მთელი მოსავალი გაანადგურა.

სამეგრელო და გურია შარშან მშიერი რომ დარჩა, თავიდან ბოლომდე ხელისუფლების ბრალია. ვიმეორებ, ფაროსანასთან დაკავშირებით მოსახლეობის რამეში დადანაშაულება უნამუსობაა!

ვინმეს თუ მოსახლეობის მონდომებაში ეჭვი ეპარება, მე მომისმინოს. დღეს ჩვენი რეგიონი ჭაობია. აქ არ არის სამუშაო ადგილები. მოსახლეობის დიდი ნაწილი საზღვარგარეთ წავიდა საშოვარზე. ვინც აქ დარჩა, ისინი თავს თხილითა და სიმინდით ირჩენენ. მეტი არაფერი არ არის და ახლა თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ, მოსახლეობა არ შეებრძოლებოდა ფაროსანას, რომელმაც მთელი მოსავალი გაანადგურა და ხალხი მშიერი დატოვა?!

## „სამეგრელო შიმშილობის ზღვარზეა“

იგივე ვითარებაა გურიაშიც. იქაც ხალხის ერთადერთი შემოსავალი არის თხილი, რომელიც ფაროსანამ შეჭამა.

ფაროსანამ ასე რომ მოიკიდა ფეხი საქართველოში, ეს ხელისუფლების დამსახურებაა. მათ შარშან დააგვიანეს რეაგირება, წელსაც არ ჩქარობენ.

***– სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებმა თქვეს, ბუკლეტებს დავურიგებთ მოსახლეობასო.***

და უუნაროები არიან, რომ რეაქცია არა აქვთ.

***– თქვენი აზრით, ამას შეგნებულად აკეთებენ?***

– არა მგონია, მთლად შეგნებულად უწყობდნენ ხელს მავნებელს. მოკლედ რომ გითხრათ, ამათ არაფერი შეუძლიათ. ესენი საქმის კეთებისგან შორს არიან.

***– მთლად ეგრეც ნუ იტყვით, ბატონო კახა, პრემია-დანამატების გამოწერაში ნამდვილი პროფესიონალები არიან.***



## კახა მიქაია: „ადრე საქართველოს ხელისუფალი აზროვნებდა ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, ახლა – პრემიიდან დანამატამდე“



### „ხელისუფლება ხალხის ბიუჯეტს ჭამს, მავნებელი – მოსავალს“

– და ხალხმა რა ქნას, ამ ბუკლეტებით დახოცოს მავნებელი, რომელიც ყველაფერს ანადგურებს? ასე არ გამოვა. ქმედითი ნაბიჯებია საჭირო.

***– ამბობენ, რომ ამ ბუკლეტებში ფაროსანასთან ბრძოლის წესებზე წერია.***

– ეგ ბუკლეტები წაუკითხონ ფაროსანას. არა, ბუკლეტიც კარგია და მოსახლეობა გაეცნობა მას, მაგრამ ხელისუფლების ჩარევის გარეშე არაფერი გამოვა. საჭიროა შეწამვლა, რასაც მოსახლეობა ვერ გააკეთებს. დაიწყოს ხელისუფლებამ და ხალხიც გვერდში დაუდგება.

ესენი როდის იყო, რომ ჩქარობდნენ. წინასწარ არც კრიმინალის ასალაგმად აკეთებენ რამეს და არც სხვა საფრთხეებს ითვალისწინებენ. ფაროსანასთან დაკავშირებით რას ელოდებიან, ვერ გეტყვით, მავნებელმა გაიღვიძა და გემრიელადაც გაიზმორა. იმდენად უმაქნისები

– მაგ საქმეში ამათ ბადალი არ ჰყავთ. მაგის მეტი მართლა არაფერი იციან. ადრე საქართველოს ხელისუფალი აზროვნებდა ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, ახლა – პრემიიდან დანამატამდე.

***– ზუგდიდის მაჟორიტარმა დეპუტატმა მოითხოვა, რომ მოსახლეობისთვის აენაზღაურებინათ ის ზარალი, რომელიც მათ ფაროსანამ მიაყენა. აუნაზღაურეს ვინმეს ზარალი?***

– რა ზარალი აუნაზღაურეს? ხელისუფლებაში სამართლიანობის აღდგენის დაპირებით მოვიდნენ, მაგრამ არაფერი გააკეთეს, ორ თუ სამ ადამიანს დაუბრუნეს ნაციონალების დროს წართმეული მანქანა და ამით დაამთავრეს ყველაფერი. „ქართული ოცნება“ არ არის ის პარტია, ვინმეს ზარალი აუნაზღაუროს. თუ ვინმე ამაზე ოცნებობს, დროა, გამოიღვიძოს.

***– გასულ წელს იყო თვითმმართველობის არჩევნები. ოზურგეთში მერის არჩევნებში დამოუკიდებელმა კანდიდატმა კოტე შარაშიძემ გაიმარჯვა. „ოცნების“ მხარდამჭერები ამას იმით ხსნიან, რომ ფაროსანამ რეგიონი გაანადგურა.***

– საინტერესო ვერსიაა. ფაროსანა კოტეს მხარდასაჭერად ჩავიდა რეგიონში? ასეთი არაფერი გამიგია, როგორ შეიძლება, კანდიდატს არჩევნები მწერმა მოაგებინოს. განცხადებების გაკეთებაც არ შეუძლიათ, მხოლოდ ფულის გამოწერა და აღება იციან.

***– გურია და სამეგრელო ყოველთვის აქტიური რეგიონები იყო. ახლა რატომ არის მოსახლეობა ჩუმად?***

– გურიაზე ვერაფერს გეტყვით, სამეგრელოს დუმილს თავისი მიზეზები აქვს. სააკაშვილის ხელისუფლებაში მოყვანაში სამეგრელოს უდიდესი წვლილი მიუძღვის. რაც დამართა ამ კაცმა რეგიონს, ჩემზე კარგად იცით. ნაციონალური მოძრაობის წასვლის შემდეგ იმედი იყო, რომ „ოცნება“ ხალხს ჭრილობებს მოუშუშებდა. ამათ მოშუშების ნაცვლად ხალხს ჭრილობაზე მარილი დააყარეს, ამდენი ტკივილის მნახველი მხარე, ფაქტობრივად, ულუკმაპუროდ დატოვეს.

ნაციონალური მოძრაობა იყო შავი ჭირი, „ქართული ოცნება“ კი ფაროსანასფერი ჭირია. ჭირი თავის დაღს ასვამს ხალხს. მოსახლეობის დუმილს იმედგაცრუებით ვხსნი.

***– რეგიონში არც ოპოზიცია აქტიურობს. ამას რით ხსნით?***

– ოპოზიციამ რომ იაქტიუროს, ამისთვის საჭიროა, ოპოზიცია არსებობდეს. სამეგრელოში ოპოზიცია არ არის. ნაცები და ევრონაცები ოპოზიცია არაა, ისინი „ოცნებასთან“ ერთად არიან შეკრული. ხმას არავინ ამოიღებს. მოსახლეობა კი მხოლოდ იმაზე ფიქრობს, როგორ გადაირჩინოს თავი.

ხელისუფლებამ თუ ახლავე არ მიიღო რაღაც ზომები, რეგიონი მშიერი დარჩება. ეს მავნებელი სხვაგანაც წავა. კახეთშიც გამოჩნდნენ ფაროსანას ოჯახის წარმომადგენლები.

ეს „ოცნება“ და ფაროსანა ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. ხელისუფლება ხალხის ბიუჯეტს ჭამს, მავნებელი – მოსავალს.

იმის იმედი ნუ აქვთ, რომ ფაროსანა მათ ოჯახებამდე ვერ მიაღწევს. ამ ინტერვიუს რომ ვწერთ, ცნობილი გახდა, რომ პრეზიდენტ მარგველაშვილს გამოეცხადა თელავში. მინისტრებთანაც მივა და მათ პრემია-დანამატებსაც შეჭამს. მოსავალს რომ გაანადგურებენ, ხომ კიდევ მოუნდებათ ჭამა? ეწვევიან ხელისუფლებას.

ფაროსანა თუ არა, მშიერი ხალხი მიადგება მთავრობას. თუ არაფერი იღონეს და მავნებელი არ დაამარცხეს, ეს მავნებელი დაამარცხებს მათ – „ქართულ ოცნებას“ ფაროსანა გადაიყოლებს.

***– წელს არის საპრეზიდენტო არჩევნები. არჩევნების წინ რაღაც ზომებს იღებენ ხოლმე ხალხის გულის მოსაგებად. იქნებ ამის ხათრით მაინც დაერიონ ფაროსანას?***

– მაშინ უკვე დაწყებული უნდა ჰქონდეთ ბრძოლა. ამათ სულ არ აინტერესებთ, რას ფიქრობს ამომრჩეველი, იმედი აქვთ, რომ მაინც მათი კანდიდატი მოიგებს. ჰოდა, რადგან იმას ამბობენ, რომ ოზურგეთში კოტე შარაშენიძემ მავნებლის წყალობით მოიგო არჩევნები, პრეზიდენტიც ის გახდება, ვისაც ფაროსანა დაუჭერს მხარს.

# მედიკამენტების საშუალო ფასნამატის მარჟა 102%-ს შეადგენს

საქართველოში ფარმაცევტული ბაზრის დარეგულირებას სახელმწიფო უკვე დიდი ხანია ცდილობს, თუმცა მცდელობას სასურველი შედეგი ჯერ არ მოუტანია.

როგორც მედიკამენტები, ასევე სამედიცინო მომსახურება მუდმივად ძვირდება. პრეტენზიებია ექიმების მიმართაც, რომლებიც პაციენტებს უფრო და უფრო მეტ წამალს უნიშნავენ.

საზოგადოება და არასამთავრობო სექტორი ყოველთვის მიუთითებს მედიკამენტების სიძვირეზე და მოგების ძალიან დიდ მარჟაზე. საქართველოში მოსახლეობის მიერ სამედიცინო მომსახურებისათვის გადახდილი თანხები მნიშვნელოვნად აღემატება საშუალო ოჯახის ფინანსურ შესაძლებლობებს, რაც მძიმე ტვირთად აწვება საზოგადოებას და განსაკუთრებით მის ღარიბ ფენას.

დღეს არსებული სიტუაციის მიხედვით, 70%-ზე მეტი ხუთ მსხვილ კომპანიაზეა გადანაწილებული. ესენი არიან შპს პსპ ფარმა – 22.32%, შპს ეიბი-სი-ფარმაცია – 14,91%, შპს ავერსი-ფარმა – 14,54%, სს ჯი პი სი – 10.20% ა შპს გლობალ-ფარმი – 7.02%. აქედან გამომდინარე, ფარმაცევტული ბაზარი შეიძლება დახასიათდეს, როგორც სუსტი ოლიგოპოლია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეი-ბი-სი ფარმაცია და სს ჯი-პი-სი გაერთიანდნენ და ბაზარზე კონკურენცია კიდევ უფრო შეიზღუდა. შედეგად, დომინირებული პოზიციების ბოროტად გამოყენების რისკები კიდევ უფრო მეტად ამაღლდა. მეორე მხრივ, კომპანიების შერწყმა ხელს შეუწყობს რესურსების გაერთიანებას, ხარჯების ოპტიმიზაციასა და ეფექტიანობის გაზრდას.

სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, საქართველოში სულ 2339 აფთიაქია. როგორც სააგენტოში განაცხადეს, აქედან თბილისში 1.018 მდებარეობს, ხოლო რეგიონში 1.321 ფილიალი.

ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს განცხადებით, ფარმაცევტულ ბაზარზე კონკურენცია იმდენად მძაფრია, რომ არ შეიძლება საქმე გვქონდეს კარტელური გარიგების რაღაც სისტემასთან.

ჯანდაცვის სამინისტროს მედიკამენტების წვდომა აქვს, მედიკამენტების როგორც საბაჟო, ისე საცალო ფასებთან და ფასნამატი არსებობს, თუმცა არ იკვეთება სურათი, რომ კომპანიები რაიმე გიგანტურ, ზემოგებაზე მიდიოდნენ, – ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა, დავით სერგეენკომ განაცხადა.

შეკითხვაზე, უკავშირდება თუ არა მედიკამენტებზე ფასების ზრდა ფარმაცევტულ ბაზარზე მონოპოლიებისა და კარტელური გარიგებების არსებობას და ხდება თუ არა ხელოვნურად წახალისება, დავით სერგეენკომ განაცხადა, რომ ბოლო წლინახევრის განმავლობაში ფარმაინდუსტრიაში ახალი მოთამაშეები გამოჩნდნენ, რომლებმაც გადაწყვიტეს, თავიანთი, ძირითადად, გამჭვირვალე თამაშის წესები შემოეტანათ, რამაც დიდი შეთქმულებისა და მანიპულაციების საშუალებები, თუ ასეთი რამ არსებობდა, მინიმუმამდე დაიყვანა.

– ახლა კონკურენცია იმდენად მძაფრია, რომ რიგი ობიექტური მიზეზების გამო, არა მგონია, საქმე კარტელური გარიგების რაღაც სისტემასთან გვქონდეს, – განაცხადა სერგეენკომ.

ასევე შეკითხვაზე, თუ რამდენად მართებულია, როცა საავადმყოფო, სამშობიარო, ამბულატორია, აფთიაქი, სადაზღვევო კომპანია და ა. შ. ერთი პირის ხელშია, ჯანდაცვის მინისტრმა აღნიშნა, რომ ამ სისტემას ბიზნესში ვერტიკალურ ინტეგრაციას უწოდებენ და ეს შესანიშნავი მდგომარეობა არ არის.

– ამაზე მსჯელობა და რისკების გათვლა საჭიროა, თუმცა ახლა ამ ყველაფრის მექანიკური შეზღუდვით გაუქმება ამ ეტაპზე კონტრპროდუქტიული იქნება. დიდი ხანი ეს არ უნდა გაგრძელდეს და ჯანდაცვამ თავისი ლოგიკური ფორმა უნდა მიიღოს. 2013 წელს თქვენ მიერ გაკეთებულ ჩამონათვალს, რომელიც რეალური იყო, საქართველოს მასშტაბით სასწრაფო დახმარების სამსახურებიც ემატებოდა, რაც კატასტროფული ვერტიკალური ინტეგრაცია იყო. ეს 2014 წლის 1-ლ იანვარს დასრულდა, როცა საქართველოს მასშტაბით არსებული რაიონული სასწრაფოები სახელმწიფომ მართვაში მთლიანად წამოიღო. ეს ამ სიტუაციის სერიოზული კორექცია იყო, – განაცხადა დავით სერგეენკომ.

სრული სურათის დასანახად საინტერესოა საქართველოში დაფიქსირებული ფასნამატების შედარება ევროპის ქვეყნების ფასნამატებთან, თანაც იმის ფონზე, რომ საშუალო ევროპელის მსყიდველობითუნარიანობა გაცილებით მაღალია, ვიდრე საშუალო ქართველის.

კვლევის შედეგად, რომელიც სა-



ერთაშორისო ფონდმა „კურაციომ“ ჩაატარა, გამოვლინდა, რომ საქართველოში ფასნამატის მარჟა, სულ მცირე, ორჯერ აღემატება ევროპის ქვეყნებში დაფიქსირებულ მარჟას.

ამავე კვლევის მიხედვით, საშუალო ფასნამატი საქართველოში 102%-ს შეადგენს, მაშინ როდესაც ევროპის ქვეყნებში საშუალო ფასნამატის მიმართულებით შემდეგი სიტუაციაა – უნგრეთი 27%; პოლონეთი 32%; ჩეხეთი 35%; საბერძნეთი 46%; იტალია 49% – ფასნამატები დათვლილია მედიკამენტის იმპორტიდან საცალო ქსელის დახლამდე.

მოსახლეობას სულ უფრო უჭირს მედიკამენტების შეძენა და, ამ მხრივ, ვითარება წლიდან წლამდე მძიმდება. ამიტომ, სახელმწიფო უახლოეს მომავალში იმ მედიკამენტების ჩამონათვალის გაზრდას გეგმავს, რომელთაც მოსახლეობის გარკვეული კატეგორია 1 ლარად ან შეღავათიან ფასში მიიღებს. ამის თაობაზე ჯანდაცვის მინისტრმა, დავით სერგეენკომ მედიკამენტების მწარმოებელ კომპანიებთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა. თუკი აქამდე ამბულატორიული მედიკამენტების მხრივ სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლეები იყვნენ მხოლოდ ის ადამიანები, ვისაც ჰქონდათ 100.000 ქულაზე ნაკლები და მათზე ვრცელდებოდა მხოლოდ 23 მედიკამენტი, ეს ჩამონათვალი უნდა გაიზარდოს და მასში უნდა შევიდნენ ასაკით პენსიონერები, შშმ პირები და დამატებითი კონტინგენტი. 23 მედიკამენტი უნდა გაიზარდოს 50-მდე.

– არც ადრე და არც ახლა ჩვენ რომელიმე კერძო კომპანიაზე ფოკუსირება არ გვქონია. ჩვენ ვცდილობთ, სისტემა ისე მოვაწყოთ, რომ მაქსიმალურად კონკურენტუნარიანი იყოს და ახალი მოთამაშეების შემოსვლა შესაძლებელი გახდეს, რაც ყოველთვის კარგია და კონკურენციას ხელს უწყობს. მეორე მხრივ, ჩვენი ვალდებულებაა და წლის განმავლობაში შედეგებს დავინახავთ, რომ მკაფიოდ მომუშავე ხარისხის კონტროლის სისტემა ჩამოყალიბდეს. კერძო-სახელმწიფო პარტნიორობასთან ერთად, ეს ორი ფაქტორი იმის გარანტია, რომ ჩვენ სასურველი შედეგები მივიღოთ, – განაცხადა სერგეენკომ.

რამდენად მოიტანს ჯანდაცვის სამინისტროს მცდელობა შედეგს, ეს მოგვიანებით გამოჩნდება. ჯერჯერობით ფარმაცევტულ ბაზარზე სიტუაციის დარეგულირების გზა არ ჩანს.

2018, 21 თებერვალი, №43

# რატომ აფინანსებს სახელმწიფო ორკაციან პარტიებს?!

## რამაზ საყვარელიძე: „ჩვენთან შეიძლება ამომრჩეველმა თვალის ფერის გამო აირჩიოს ვილაც“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან" ინტერვიუში პოლიტიკურ პარტიებზე საუბრობს.**

***— ბატონო რამაზ, დღეს ყველა საუბრობს, რომ ოპოზიცია სუსტია. ყველა ხელისუფლების დროს ოპოზიციის რეიტინგი ეცემოდა თუ ახლა არის განსაკუთრებულად სუსტი?***

— ერთი გუნდი როგორც კი იმარჯვებდა, სხვა პარტიები საქართველოში ყოველთვის კარგავდნენ რეიტინგს. რა არის რეალურად ამის მიზეზი? რასაკვირველია, ამას ბევრი მიზეზი აქვს, მაგრამ გადამწყვეტი მაინც ის არის, რომ ჩვენთან პარტიებს არა აქვთ იდეოლოგია და, შესაბამისად, არ გვყავს ამომრჩეველი, რომელსაც აქვს მწყობრად ჩამოყალიბებული იდეოლოგია. ამომრჩეველი, რომელსაც აქვს ორიენტაცია, იდეოლოგია და მხოლოდ ერთი პარტიის ამომრჩეველია, ასეთი რამ ჩვენთან არ არსებობს.

***— მაგალითად, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში?***

— დიახ, როდესაც ამომრჩეველიც კი ან „რესპუბლიკელია“ ან „დემოკრატი“. ჩვენთან შეიძლება ამომრჩეველმა თვალის ფერის გამო აირჩიოს ვილაც, სულაც არ არის ეს უტრირებული ნათქვამი, როგორც იტყვიან, ეს არის სამწუხარო რეალობა.

როგორ არის დასავლეთში, იქ, ესა თუ ის პარტია იგებს ერთი თუ ორი პროცენტით, 50% პლუს ერთი ან ორი პროცენტი. ჩვენთან კი პარტიები 97% ან ცოტა ნაკლებით იმარჯვებენ. ამ ფონზე როგორ შეიძლება პოპულარული იყოს ოპოზიციაში მყოფი პარტია?! ეს თითქმის შეუძლებელია. ამიტომ არის, რომ შემდეგ ასეთი მაღალი ნდობით მოსული პარტიები ამთავრებენ ისე, როგორც ამთავრებენ, ეს არის მიზეზი იმ დიდი იმედგაცრუების, რომელიც ამომრჩეველს აქვს, ეს არის დიდი ჯაჭვის ერთი რგოლი.

***— თუმცა, თითქმის ყველა პარტია ორი ვადით მოდის ხელისუფლებაში.***

— თუ ზოგადად ვისაუბრებთ, ეს ძალიან ცუდია, ამას მოჰყვება ხოლმე ის დიდი იმედგაცრუება, რომელიც გარდაუვალია.

***— თქვენ ამბობთ, რომ პოლიტიკური კულტურის დეფიციტია ამომრჩეველში?***

— დიახ, სრულიად გეთანხმებით. იმ ქვეყნებში, სადაც დემოკრატიული ინსტიტუტები არის და მაღალია მათი გავლენა, მათთვის ეს პრობლემა არ დგას. ეს პრობლემა დგას ჩვენნაირი ტიპის ქვეყნებში და ამიტომ არის ხოლმე, ასეთი ტიპის ქვეყნებში ხელისუფლებები რევოლუციების გზით რომ იცვლება. გასაგებია, ვეროპელების პოლიტიკური კულტურა და ჩვენი პოლიტიკური კულტურა განსხვავებულია. ჩვენთან, მთავარია, ერთი ლიდერი გამოჩნდეს და ყველა მისკენ იბრუნებს ხოლმე პირს, დანარჩენი ალტერნატივების გამოჩენაზე თავს აღარ იწუხებს ხოლმე. თვითონ მოსახლეობა პლურალიზმისგან შორს დგას, ეს არის პრობლემა. თვითონ კი არ არის პროცესში ჩართული, ცდილობს იპოვოს ერთი, რომელსაც გადააბარებს ყველაფერს და შემდეგ თუ ისე არ არის, რაღაც ძალიან ბრაზდება და ხდება ის, რაც არაერთხელ გვინახავს. სამწუხაროდ, ჩვენს ხალხში პოლიტიკური აზროვნება და პოლიტიკაზე ფიქრი ამით ამოიწურება ხოლმე.

***— ამ დროს ხომ არის ძალაუფლების უზურპირების საფრთხე?***

— და ვის აწუხებს ეს? და



ვინ ფიქრობს ამაზე? ეს არის ის პოლიტიკური კულტურა, რომელიც დღემდე გვაქვს და ვერანაირად ველარ გავიზარდეთ. ჩვენს ამომრჩეველს ურჩევნია, ძალაუფლება ერთს ჰქონდეს, დაე, მან მოახდინოს ამ ძალაუფლების უზურპირება. „ქვეყნის პატრონი“ ხომ გაგიგიათ, აქამდე დადის ყველაფერი. ჩვენ მაინც მონარქიული საზოგადოება ვართ, რომლისთვისაც მთავარი არის მეფე, რომელიც განაგებს ყველაფერს. ჩვენთვის ძალაუფლების სიმბოლო მაინც ერთი კაცია.

***— ბატონო რამაზ, საპარლამენტო არჩევნებზე „შუა უნდა გაიკრიფოს“, ეს იყო ერთგვარი გზავნილი. ფიქრობთ, რომ რეალურად მართლაც ორპარტიული სისტემისკენ უნდა წავიდეთ, როდესაც ორი პარტია ერთმანეთს ცვლის, როგორც ამერიკაში?***

— ამერიკაში ორი მთავარი პარტია მოქმედებს: „რესპუბლიკელები“ და „დემოკრატები“, რომლებიც არჩევნების გზით ცვლიან ერთმანეთს. ამ პარტიების იდეოლოგია, პოლიტიკური პლატფორმა ისე მკვეთრად არის ჩამოყალიბებული წლების მანძილზე, რომ მათ, როგორც ვთქვით, თავიანთი ამომრჩეველიც კი ჰყავთ. ჩვენთან რომელი პარტიაა, რომელსაც ასეთი მკვეთრი პოლიტიკური ორიენტაცია და იდეოლოგია აქვს. ჩვენთან ასეთი მკვეთრი იდეოლოგიური ნიშანი არც ერთ პარტიას არ აქვს. მაგალითად, ნაციონალური მოძრაობა და „ქართული ოცნება“, ერთი იყო ხელისუფლებაში და ახლა მეორე არის ხელისუფლებაში, მაგრამ იდეოლოგიური თვალსაზრისით მათ შორის დიდი სხვაობა არ არის. სანამ ასეთი იდეოლოგიური ანუ ლოგიკური საფუძველი არ იქნება ორად გაყოფის, მანამდეც ორპარტიული სისტემა ვერ იქნება ან თუ იქნება, ხელოვნური იქნება.

***— „ქართული ოცნება“ უფრო მემარცხენე პარტიაა, ნაციონალური მოძრაობა ალბათ უფრო მემარჯვენე ტიპის. ასე არ არის?***

— მე საერთოდ არ ვფიქრობ, რომ ნაციონალური მოძრაობა პარტიაა.

***— რატომ?***

— მას როდესაც დასჭირდება, მემარცხენეა, როდესაც დასჭირდება — მემარჯვენე და როდესაც დასჭირდება, კიდევ დანაშაულსაც ჩაიდენს.

***— 2%-იანი და 1%-იანი პარტიები წლების მანძილზე, 10-20 წელი რომ არსებობენ, ამის რეალური მიზეზი რა არის? შეიძლება ბუნებრივად არსებობდეს 1%-იანი პარტია წლები?***

— ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო კითხვაა. მართლაც შეუძლებელია 1%-იანმა პარტიამ ათეული წელი გაქაჩოს, ისინი ხელოვნური სუბსიდიებით არსებობენ. ეს უნდა ითქვას, დიახ, მათი არსებობის მიზეზი არის ხელოვნურად გადარჩენა. ამიტომ არის, რომ ძლიერი პარტიები არ გვყავს. როდესაც ხელოვნურად კვებავ სუსტს, იქ ძლიერი ფიზიკურად ვერ ჩნდება.

ბიუჯეტიდან ფინანსდებიან ეს პარტიები, მაგრამ მოსახლეობის უმრავლესობამ მათი დასახელებაც კი არ იცის. არის ორკაციანი პარტიები, რომელიც საბიუჯეტო დაფინანსებას აიღებს და იარსებებს მომავალ არჩევნებამდე, ამათთვის პოლიტიკა შემოსავლის წყაროდ ვაქციეთ. მერე გვიკვირს, რატომ არ გაიმარჯვეს არჩევნებში. იქნებ, მათი მიზანი სულაც არ არის გამარჯვება და მხოლოდ ზედაპირზე ტივტივია, დაფინანსება მაინც აქვს და იარსებებს ასე არჩევნებიდან არჩევნებამდე. შეიძლება ეს არის დასავლეთის მოთხოვნა, რომ დავაფინანსოთ ასეთი წვრილ-წვრილი პარტიები და ხელი შევუწყოთ ოპოზიციის არსებობას, მაგრამ შედეგი რა არის?! იგივეა კვოტირების სისტემაც. მოთხოვნაა, ქალები შემოვიყვანოთ პოლიტიკაში, მაგრამ ეს ხომ არის ხელოვნური, ამით მივიღებთ ძალიან სუსტ პოლიტიკოს ქალებს, მაშინ როდესაც, ძალიან ძლიერი პოლიტიკოსი ქალები გვყავდნენ ყოველგვარი კვოტირების გარეშე, ძალიან ბუნებრივად. თითქოს ეს არის ხელშეწყობა, მაგრამ რეალურად ეს არის დასუსტება. ასევე ოპოზიციური პარტიების შემთხვევაშიც, ოპოზიციურ პარტიებს კი ვეხმარებით ფინანსურად, მაგრამ ვტოვებთ იქ, სადაც არიან.

# ტელეკომპანია „იბერიას“ ფინანსური პრობლემები შეექმნა

— ტელეკომპანია იბერიას შესაძლოა ფინანსური პრობლემები შეექმნას.

ამის შესახებ განცხადება „ომეგა ჯგუფ თამბაქოს“ გენერალურმა მენეჯერმა ლევან აღდგომელაშვილმა გააკეთა.

საუბარია ბოლო პერიოდში „ომეგა ჯგუფისთვის“ მიყენებულ 100-მილიონიან ზარალზე, რომელმაც შესაძლოა მაუწყებლობაში პრობლემა ტელეკომპანია „იბერიასაც“ შეუქმნას. „British American Tobacco„-ს მიერ კონკურენციის კანონებისა და თამბაქოს კონტროლის კანონის დარღვევის შედეგად. ტელეკომპანიაში ამბობენ, რომ, სავარაუდოდ, ტელეკომპანიას ფინანსურ პრობლემებს ხელისუფლება უქმნის.

— ჩვენს კომპანიას მიადგა 100 მილიონი დოლარის ღირებულების ოდენობის ზიანი მულტინაციონალური კომპანია „ritish American Tobacco-ს მიერ კონკურენციის კანონებისა და თამბაქოს კონტროლის კანონის დარღვევის შედეგად. სასამართლოს პირველმა ინსტანციამ ჩვენი სარჩელი მთლიანად დააკმაყოფილა, მეორე ინსტანციამ ზარალი ცნო, მაგრამ უარყო კავშირი თვითღირებულებაზე დაბალ ფასად რეალიზაციასა და ჩვენს ზიანს შორის.

— ტელეკომპანია „იბერიის“ ძირითადი დამფინანსებელი არის „ომეგა ჯგუფი“ და, შესაბამისად, ის 100 მილიონი ზიანი, რომელსაც გილიარებენ, მაგრამ არ გეუბნებიან, რომ ანაზღაურებას ვინმესგან ექვემდებარება, ზიანს აყენებს ფინანსურად არა მარტო „ომეგა ჯგუფში“ შემავალ სხვა კომპანიებს, არამედ მასში შემავალ ტელეკომპანია „იბერიასაც“, — განაცხადა „ომეგა ჯგუფის“ თამბაქოს გენერალურმა მენეჯერმა ლევან აღდგომელაშვილმა.

* * *

„ომეგა ჯგუფში“ არსებულ პრობლემებზე ინფორმაცია აქვს ბიზნესომბუდსმენს.

ირაკლი ლექვინაძის თქმით, მისთვის ცნობილია იმ სასამართლო დავის შესახებ, რომელიც „ომეგა ჯგუფში“ შემავალი კომპანიების მხრიდან მიმდინარეობს, თუმცა ამბობს, რომ არა აქვს ინფორმაცია, რამდენად შეიძლება დააზარალოს ამ პრობლემებმა ტელეკომპანია „იბერია“.

— მე ვიცნობ „ომეგა ჯგუფის“ საქმეს კონკრეტულ ბიზნესკომპანიებთან მიმართებით, თუმცა სხვა საკითხებზე, რომლებიც შეიძლება უკავშირდებოდეს თუნდაც ტელეკომპანია „იბერიაზე“ ან „ომეგა ჯგუფზე“ ზეწოლას, ჩვენ კონსულტაცია არ გვქონია. მათი მხრიდან ამ მიმართულებით საკითხი არ დამდგარა, ამიტომ ასეთი მოქმედებების შესახებ მე ინფორმაცია არ მაქვს. ჩვენ გვაინტერესებს ნებისმიერი საკითხი, რომლებიც შეიძლება შეეხებოდეს სახელმწიფო სტრუქტურებისა და კერძო ბიზნესის ურთიერთობას. თუ არსებობს არგუმენტები და ფაქტები, ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში ამაზე გარკვეული მოქმედებები გვექნება, — განაცხადა ბიზნესომბუდსმენმა ირაკლი ლექვინაძემ.

# ვახო ხუზმიაშვილი: „ეს იმისათვის ხდება, რომ ტელეკომპანიამ დამოუკიდებელი სარედაქციო პოლიტიკით მაუწყებლობა ველარ გააგრძელოს“



ტელეკომპანია „იბერია“ ტელეკომპანიაზე მიზანმიმართულ შეტევაზე საუბრობს. განცხადება არხის საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელმა გააკეთა.

ვახო ხუზმიაშვილის განცხადებით, ბოლო პერიოდში „ომეგა ჯგუფს“ სერიოზული ფინანსური ზიანი მიადგა, რამაც გავლენა იქონია ტელეკომპანია „იბერიის“ ფინანსურ მდგომარეობაზე.

ტელეკომპანიაში ვარაუდობენ, რომ მათ ფინანსურ პრობლემებს ხელისუფლება უქმნის.

— ეს ხდება მიზანმიმართულად იმისათვის, რომ ტელეკომპანიამ ველარ გააგრძელოს მაუწყებლობა დამოუკიდებელი სარედაქციო პოლიტიკით. ტელეკომპანია „იბერია“ არის ტელევიზია, რომელიც ყველა ხელისუფლების პირობებში ხდება მიუღებელი დამოუკიდებელი სარედაქციო პოლიტიკის გამო. ჩვენ, ჟურნალისტები, მოვუწოდებთ ხელისუფლებას აღკვეთოს „ომეგა ჯგუფის“ წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებები, — განაცხადა „იბერიის“ საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელმა ვახო ხუზმიაშვილმა

# დავით სუჯაშვილი: „რუსეთი საფრთხეს წარმოადგენს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა სალომე სამადაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა:

— თუ ვაპირებთ, რეალურად ვიმსჯელოთ ქვეყნის წინაშე მდგარ საფრთხეებზე, პარლამენტში შინაგან საქმეთა მინისტრი უნდა მობრძანდეს.

სამადაშვილის თქმითვე, „ქართულ ოცნებას“ არ აქვს შესაძლებლობა ან სურვილი, ქვეყნის წინაშე მდგარი საფრთხეები გაანეიტრალოს.

დაზვერვის შეფმა არ იცის, რატომ მოიწადინეს ნაციონალებმა შს მინისტრის ხილვა.

— არა მგონია, შინაგან საქმეთა მინისტრის დაბარება ჩემს ანგარიშს უკავშირდებოდეს. მე როგორც ვიცი, ეს შეხვედრა დაგეგმილი იყო. რაც შეეხება საფრთხეებს, შეხვედრა დახურულ კარს მიღმა იმიტომ ჩატარდა, რომ ამ საფრთხეებზე არ გვესაუბრა.

ვფიქრობ, უწყებები ძალიან კარგად, გამართულად მუშაობენ. ჩვენ არა მარტო უსაფრთხოების სამსახურთან და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, სხვა სამინისტროებთანაც გვაქვს ძალიან მჭიდრო ურთიერთობა და ხდება ინფორმაციის ინტენსიური გაცვლა, — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში დაზვერვის შეფმა.

საფრთხეებთან დაკავშირებით მან მედიას იქით დაუსვა კითხვა:

— დაზვერვის სამსახურმა წარმოადგინა საინფორმაციო ბრიფინგი, რომელიც მოიცავდა დაზვერვის სამსახურის ხედვას საერთაშორისო სივრცეში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. თუ შეიძლება, მე დაგისვამთ კითხვას — საქართველოს ტერიტორიები ოკუპირებულია. როგორ ფიქრობთ, საიდან მოდის მთავარი საფრთხე?

ჟურნალისტების კითხვაზე, დაუსახელა თუ არა მან დეპუტატებს ქვეყანა, საიდანაც ეს საფრთხე მოდის, დავით სუჯაშვილმა განაცხადა, რომ საუბარი ზოგადად შეეხო ბევრ ქვეყანას და იმ ქვეყნებს, საიდანაც მოდის საფრთხე.

რაც შეეხება იმას, არის თუ არა რუსეთი მთავარი საფრთხე, დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელის განცხადებით, რუსეთს ჩვენი ტერიტორიები აქვს ოკუპირებული.

— რა თქმა უნდა, რუსეთი წარმოადგენს საფრთხეს, — აღნიშნა სუჯაშვილმა.

დაზვერვის შეფს თურქეთიდან მომავალ საფრთხეებზეც მოუხდა საუბარი. ცნობისათვის, „პატრიოტთა ალიანსში“ მიიჩნევენ, რომ საქართველოსთვის მთავარი საფრთხე თურქეთია.

ჟურნალისტების კითხვაზე, ეთანხმება თუ არა ის განცხადებას, რომ მთავარი საფრთხე თურქეთია, დავით სუჯაშვილი ასე პასუხობს:

— თურქეთი საქართველოს პარტნიორი ქვეყანაა.

საფრთხეებზე საუბრისას დაზვერვის შეფმა საგანგებოდ გაუსვა ხაზი ტერორიზმს. ის



ამბობს, რომ ამ საფრთხეს მომზადებულები უნდა დავხვდეთ.

— ტერორიზმის საფრთხე არა მარტო საქართველოსთვისაა რეალური, არამედ მსოფლიოსთვისაც და ჩვენ უნდა ვიყოთ მზად. ამიტომაც ვმუშაობთ ისეთ სამსახურებში, როგორსაც მე წარმოვადგენ. ძალიან ბევრ ქვეყანასთან გვაქვს მჭიდრო ურთიერთობა, გამოვყოფდი ამერიკის შეერთებულ შტატებს, — განაცხადა სუჯაშვილმა.

მედია ასევე დაინტერესდა, როგორი იყო მისი რეაქცია, როცა გადაწყდა, რომ დაზვერვა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან უნდა გაერთიანებულიყო.

სახელმწიფო დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელი ამ კითხვას ასე პასუხობს:

— მე ვარ ქართველი ოფიცერი. ამ უწყებაში ვმუშაობ 1999 წლიდან. შემიძლია თამამად ვისაუბრო ჩვენი სამსახურის სახელით — არ აქვს მნიშვნელობა, რომელი უწყების ქვეშ იქნება ეს სამსახური. აქვს მნიშვნელობა, რამდენად მოგვეცემა საშუალება, ვიმუშაოთ და შევასრულოთ ის დავალებები, რომლებიც ჩვენ გვეძლევა, — განაცხადა სუჯაშვილმა.

# მიხეილ დუნდუა: „საპენსიო რეფორმა დავაგვიანეთ“



გულიკო ბალაძე

**თსუ-ს ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, ეკონომისტ-ანალიტიკოსი მიხეილ დუნდუა „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ ბოლო პერიოდში ეკონომიკური სიტუაცია მომწიფდა (გაიზარდა ბიუჯეტის გამჭვირვალობა, ადმინისტრირების მაჩვენებელი, გაუმჯობესდა ყველა პარამეტრი, ამ წლების განმავლობაში შემცირდა ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები) და ყველა პროცესი პოზიტიურად წარიმართა საიმისოდ, რომ განხორციელდეს რიგი რეფორმები მეწარმეებისთვის შეღავათიანი რეჟიმის დაწესებისთვის.**

***— ბატონო მიხეილ, როგორ აფასებთ ხელისუფლების ბოლოდროინდელ აქტივობებს ეკონომიკური კუთხით გარკვეული რეფორმების გატარების თვალსაზრისით?***

— ხელისუფლება აგრძელებს თავისი ოთხპუნქტიანი გეგმის განხორციელებას იმ მიმართულებებით, რომლებიც ხელს უწყობს დასაქმებას, დანაზოგების ფორმირებას, ბიზნესის წახალისებას, მცირე მეწარმეობის გაზრდას. ეს აღიარებულია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებულ ბოლო პუბლიკაციებშიც. ბოლო რეფორმა, რომელიც დაანონსებულია და ალბათ მალე დაიწყება, ეხება მცირე მეწარმეებისთვის განსაკუთრებული მიდგომის შემუშავებასა და შეღავათიანი რეჟიმის დაწესებას. იქნება მცირე საწარმოს ზედა ზღვარი, რომლის ფარგლებშიც მცირე მეწარმე შეღავათიან პირობებში იმოქმედებს. ეს გულისხმობს იმას, რომ მცირე მეწარმეებს, რომლებსაც 500 ათასამდე ბრუნვა აქვთ, გადასახადი 5-ჯერ შეუმცირდებათ. ასევე მცირე მეწარმის კატეგორიაში მოხვდება 500.000 ლარამდე ბრუნვის მქონე საწარმო. 100 ათასიანი ბრუნვის მქონე მცირე საწარმოებს ჰქონდათ 5%-იანი საშემოსავლო გადასახადი. ახლა ამ მაჩვენებლის ზედა ზღვარი 500 ათასამდე იცვლება. გადასახადი კი ხუთჯერ მცირდება და 1%-იანი გადასახადია. მცირე მეწარმეებს 5-ჯერ უკეთესი მდგომარეობა ექნებათ.

***— კონკრეტულად, მცირე მეწარმეების მიმართ გაკეთებულ შეღავათებს დაგვიანებულს უწოდებს ნაცმოძრაობა. შეღავათები ცოტა ადრე რომ დაეწესებინათ, შესაძლებელი არ იყო?***

— გადასახადების ლიბერალიზაციას აქვს თავისი დრო და თავისი მომენტი, თუ როდის უნდა განხორციელდეს. ფისკალური ამოცანაა, შემოსავლები იყოს მდგრადი. ფისკალური ამოცანა უნდა შესრულდეს იმისათვის, რომ შემოსავლებიდან ხარჯების ეფექტურობა იყოს მაღალი და თანხები განაწილდეს.

თუ შემოსავალი არ იქნება და ხარჯი გაიზრდება, მაშინ გაიზრდება ბიუჯეტის დეფიციტი და შეიქმნება პრობლემა. ამიტომაც, როდესაც მომზადდა და მომწიფდა სიტუაცია, მაშინ განხორციელდა რეფორმა.

***— დღეისათვის სიტუაცია მომწიფებულია?***

— სიტუაცია ბოლო პერიოდში მომწიფდა, გაიზარდა ბიუჯეტის გამჭვირვალობა, გაიზარდა ადმინისტრირების მაჩვენებელი, გაუმჯობესდა ყველა პარამეტრი, ამ წლების განმავლობაში შემცირდა ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები, ყველა პროცესი პოზიტიურად წარიმართა. როცა დადგა დრო, რეფორმაც მაშინ განხორციელდა. ჩვენ გვახსოვს დრო, როცა სავალუტო ფონდის წარმომადგენლები თავიანთ პუბლიკაციებში გადასახადების გაზრდას შესაძლებლად მიიჩნევდნენ. იყო პერიოდი, როცა ეკონომიკური კრიზისის დროს შეიძლება წარმოშობილიყო ბიუჯეტის დეფიციტი ან სხვა ნაკლოვანებები, რომლებსაც უნდა გამკლავებოდი მკაცრი ადმინისტრაციული მეთოდებითა და ხარჯების გააქტიურებით. ეს პერიოდი საქართველომ წარმატებულად გადალახა.

საქართველოს ახლა უკვე შეუძლია რეფორმის განხორციელება. რატომ არ განხორციელდა ასეთი რეფორმა 2012 წელს, 2011 წელს, 2010 წელს. წინა ხელისუფლების პირობებში ხომ არ შეუმცირებიათ მცირე მეწარმეებისთვის გადასახადი, ახლანდელმა ხელისუფლებამ შეამცირა. ეს იმას გვიჩვენებს, რომ ახალმა ხელისუფლებამ მოამწიფა სიტუაცია, რომ შესაძლებელი გამხდარიყო გადასახადის შემცირება. მიუღებელია წინა ხელისუფლების წარმომადგენლების საყვედური, რატომ ადრე არ გაატარეთ რეფორმაო, როცა თვითონ არ აკეთებდნენ.

***— დღემდე ბევრი აღნიშნავს, რომ ქვეყანაში არ შეიქმნა საშუალო ფენა. შეუწყობს თუ არა ხელს მცირე მეწარმეებისთვის დაწესებული შეღავათი ქვეყანაში საშუალო ფენის ჩამოყალიბებას?***

— მცირე მეწარმეებისთვის დაწესებული შეღავათი, საპენსიო რეფორმა, დანაზოგების ფორმირება ინვესტიციების მოზიდვას უწყობს ხელს და, საბოლოო ჯამში, რა თქმა უნდა, გამოიწვევს საშუალო ფენის ზრდას. ბოლო პერიოდში რეგიონში შექმნილი იყო არასახარბიელო მდგომარეობა დოლართან მიმართებით ვალუტების გაუფასურების გამო. ახლა რეგიონში ეს პროცესი შენელდა (ვგულისხმობ აზერბაიჯანს, სომხეთს, თურქეთს, რუსეთს, უკრაინას). რეგიონის ქვეყნებიდან ყველაზე უკეთესად ეს კრიზისი საქართველომ დაძლია. ახლა არის დრო მეტი მდგრადობისა და ინიციატივებისთვის.

***— სხვათა შორის, საპენსიო რეფორმაზეც ვისმენთ კრიტიკას. გამოდიან იურისტები, ეკონომისტები და ამბობენ, რომ ეს რეფორმა მოქალაქეზე არ არის ორიენტირებული.***

— საპენსიო რეფორმას მხარს უჭერენ საერთაშორისო ორგანიზაციები, ექსპერტები. რეფორმა მათთან შეთანხმებით ტარდება. ეს რეფორმა არ ტარდება ჩაკეტილად.

ჩვენ დღეს გვაქვს საბჭოთა სისტემის გადმონაშთი. პრაქტიკულად, ახლა პენსიას შემწეობის სახე აქვს. თანამედროვე გაგებით, ადამიანს პენსია უნდა მიეცეს დაგროვადობის მნიშვნელობით, წლების მიხედვით მისი გაანგარიშების საფუძველზე. ბალტიისპირეთში, ჩეხეთსა თუ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში — ყველგან მსგავსი სისტემა მუშაობს. საპენსიო რეფორმის კუთხით საქართველოს მიერ გადადგმული ნაბიჯი სწორედ რომ განვითარებული ქვეყნების საპენსიო სისტემასთან არის შეხამებული. რამდენიც გექნება ხელფასი და რამდენი წლის განმავლობაშიც დავაგროვებთ, იმის შესაბამისი პენსია იქნება.

***— 40 წლის და უფრო მეტი ასაკის ადამიანებმა, რომელთაგან ზოგს 40 წლის მუშაობის სტაჟი აქვს, რა უნდა ქნან? ახლანდელი რეფორმა რას უშველით?***

— საპენსიო რეფორმა დავაგვიანეთ. ამ პროცესის დაწყება შესაძლებელი იყო, ვთქვათ, 2007 წლიდან. შესაბამისად, მისთვის, ვისაც ახლა აქვს 40 ან 50 წელი მუშაობის სტაჟი, ეს რეფორმა არაფერს ნიშნავს.

40 წლამდე ადამიანმა დღეიდან უნდა დაიწყოს დაგროვება და დღეიდან 10, 20 წლის დაგროვებული თანხის მიხედვით უნდა გადაანგარიშდეს.

თუ დღესაც არ დავიწყებთ აღნიშნულ რეფორმას, ბევრი ადამიანი ვერ იქნება ჩართული ამ პროცესში, მათაც ექნებათ პრობლემა, რომელიც ბევრ ადამიანს აქვს საქართველოში, რომლებსაც ბევრი უშრომიათ, მაგრამ ახლა არ შეუძლიათ, თავიანთი შრომა პენსიაზე აისახოს.

***— მეორე მხრივ, ამბობენ, რომ აღნიშნული საპენსიო რეფორმა მეწარმეებს თუ ზოგადად დამსაქმებლებს გადასახადებს უზრდის, რადგან მათ კანონი დაავალებს თავიანთი თანამშრომლებისთვის გარკვეული თანხის გადარიცხვას საპენსიო ფონდში.***

— ეს არ არის გადასახადი. ნებისმიერმა ადამიანმა თვითონ უნდა იზრუნოს თავის პენსიაზე. დაგროვებითი პენსიის პრინციპი ასეთია. 2% შენატანი არის იმისათვის, რომ პენსია იყოს უზრუნველყოფილი. 2% არ არის გადასახადი, არამედ საპენსიო შენატანია.

***— მესმის, მაგრამ საწარმოს ხელმძღვანელს, დამსაქმებელს არ უწევს გადასახადებზე დამატებით თანხის შეტანა?***

— რა თქმა უნდა, საწარმოს მოუწევს, 2% გადარიცხოს თანამშრომლის შრომის ანაზღაურებიდან, 2% კი უნდა გადარიცხოს თვითონ დამსაქმებელმა.

***— ის 2% დამსაქმებლის გადასახადებს არ ემატება?***

— საწარმოს ხელმძღვანელს, დამსაქმებელს საპენსიო შენატანი ემატება, მაგრამ ეს არ არის გადასახადი. ეს არის მოსაკრებელი, რომელიც შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს. გადასახადი არის სხვა რაღაც, შენატანი კი სულ სხვაა. ამიტომ ეს ნორმალური პროცესია. საწარმოებისთვის ჩატარდა მოგების გადასახადის რეფორმა და მოგების გადასახადი საერთოდ არ აქვთ. მათ დიდი შეღავათი მისცეს იმ მეწარმეებს, რომლებიც რეინვესტირებაზე, განვითარებასა და მოგების ისევ ბიზნესში დაბანდებაზე ფიქრობენ. ახლა კიდევ ახალი რეფორმა ტარდება მცირე მეწარმეებისთვის. მათ გადასახადი 5-ჯერ შეუმცირდათ. ასე რომ, მეწარმეებისთვის ბევრი რეფორმა განხორციელდა. ახლა დადგა დრო, როცა მოქალაქეების კეთილდღეობისა და საპენსიო უზრუნველყოფისთვის გატარდეს რეფორმა. ეს რეფორმა თუ არ გავატარეთ, სხვა გამოსავალი არ არის. ამ ფონზე ნებისმიერი საშენატანო ტვირთი სავსებით ლოგიკური და სამართლიანია. რაც ხდება სხვა ქვეყნებში, ის უნდა მოხდეს ჩვენთანაც.

***— ეს რატომ არ ესმით ნაციონალ ოპოზიციონერებს?***

— ისინი არიან ერთ მხარეს, ჩვენ — მეორე მხარეს. ისინი წინააღმდეგობაში მოდიან საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებთან, მითითებებთან და მოთხოვნებთან. ოპოზიციას შეუძლია, ნებისმიერი ნაბიჯი გააკრიტიკოს.

***— ბატონო მიხეილ, თქვენ ამბობთ, რომ საქართველოს ეკონომიკური ზრდის პროცესს საერთაშორისო ორგანიზაციები დადებითად აფასებენ. რატომ არ აისახება ეს ქვეყნის საერთო მდგომარეობაზე?***

— საგრძნობი ეფექტი რომ გვქონდეს, ამისთვის აუცილებელია ბევრი ინვესტიცია. ეკონომიკური ზრდის პროცესი ადამიანის პირად კეთილდღეობაზე რომ აისახოს, ამას დრო სჭირდება. ამიტომაც არის, რომ ოთხპუნქტიანი გეგმა 2020-2022-წლიან პერიოდში უნდა განხორციელდეს.

საბოლოო ჯამში, წარმოდგენილი გეგმის კომპლექსში განხორციელება აისახება ჩვენი მოქალაქეების კეთილდღეობაზე. ამიტომაც 4-7-წლიანი პერიოდი ჩვენც უნდა გავიაროთ. სხვა ქვეყნებს კეთილდღეობისთვის ერთ დღეში არ მიუღწევიათ. ჩვენ რთული პერიოდი გამოვიარეთ. ეს პროცესი სრულდება და ეკონომიკური ზრდის პროცესი უნდა დაჩქარდეს. ამ მიმართულებით პოზიტიური პროგნოზებია.

ჩვენ ველოდებით, რომ უმოკლეს დროში, კერძოდ, რამდენიმე წელიწადში მოსახლეობა იგრძნობს კონკრეტულ შედეგებს ამ თვალსაზრისით. ჩადებული ინვესტიციები დადებით შედეგს მოიტანს.

## ზურაბ ჭიაბერაშვილი საპენსიო რეფორმაზე: „ეს ფინანსური პირამიდაა, რომელშიც მთავრობა ძალით მიგვათრევს“



— პრობლემა ის არის, რომ საზოგადოებას არც კი რჩება დასაზოგი თანხა. ვის ეხება ეს კანონპროექტი? — ამის შესახებ რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში „ეკონომისტის დრო ლევან ქისტაურთან ერთად“ „ევროპული საქართველოს“ წევრმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა საპენსიო რეფორმაზე კომენტირებისას განაცხადა.

როგორც ჭიაბერაშვილი აცხადებს, დღევანდელი პენსია და ზოგადად შემოსავალი მოქალაქის ცხოვრებას სრულფასოვნად ვერ უზრუნველყოფს.

— ჩვენ რომ ჩვეულებრივი მოქალაქის თვალით შევხედოთ, ყველანი უნდა შევთანხმდეთ იმაზე, რომ დღევანდელი 180 ლარიანი პენსიით ადამიანი უზრუნველად ვერ იცხოვრებს, რადგან ცხოვრება გაძვირდა. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენ ბოლო წლების განმავლობაში დაბალ ეკონომიკურ ზრდას ვხედავთ.

2017 წელს ფასების ზრდა მკვეთრად (6,7%-ად) შეინიშნებოდა. ელემენტარულად, როდესაც ადამიანს საკვებზე ძალიან დიდი თანხა ეხარჯება მას საკმარისი თანხა ტანისამოსის შეძენასა და დასვენებაზე აღარ რჩება

პრობლემა ის არის, რომ საზოგადოებას დასაზოგი თანხა არც კი რჩება. ვის ეხება ეს კანონპროექტი? ანუ ვინ უნდა დააგროვოს სავალდებულოდ? — განაცხადა ჭიაბერაშვილმა.

„ევროპული საქართველოს“ წევრი ამავე ჭრილში ქვეყნის მთავარ ეკონომიკურ გამოწვევებზეც საუბრობს. მას მიაჩნია, რომ აღნიშნული კანონპროექტით სასურველი შედეგის მიღწევა საეჭვოა.

— ჩვენი მთავარი გამოწვევა დღეს უმუშევრობა, ფასების ზრდა და დაბალი შემოსავალია.

ადამიანებს თანხის დაგროვება როგორც არ უნდა სურდეთ, სამწუხაროდ დღევანდელი შემოსავლები ამის საშუალებას არ იძლევა და სახელმწიფოს მხრიდან ამის იძულება არასწორია.

იმ შედეგის მიღწევა, რაც აღნიშნული კანონპროექტის ავტორებს სურთ საკმაოდ საეჭვოა, რადგან წინასწარ პროგნოზების გაკეთება რთულია, — აღნიშნა ზურაბ ჭიაბერაშვილმა.

როგორც „ევროპული საქართველოს“ წევრმა „კომერსანტს“ განუცხადა, იმ ქვეყნებში, სადაც მსგავსი მოდელია, საპენსიო ასაკი 65-დან 67 წლამდეა გადავადებული. ჭიაბერაშვილი მიმდინარე პროცესს მთავრობის მხრიდან იძულებად აფასებს და ამას სახიფათოდ მიიჩნევს.

— მესამე წელია, „ქართული ოცნება“ უყაირათო ბიუჯეტის გამო პენსიას ვერ ზრდის.

ადამიანებს უნდა მივცეთ თავისუფლება, მათ როგორც სურთ, ისე შეინახონ საკუთარი დანაზოგი. მთავრობის მხრიდან იძულება სახიფათოა. ყველგან, სადაც მსგავსი მოდელია, საპენსიო ასაკი 65-დან 67 წლამდეა გადავადებული იმისათვის, რომ სქემამ ფინანსურად იმუშაოს და არ გაკოტრდეს.

ეს ერთგვარი ფინანსური პირამიდაა, რომელშიც მთავრობა ძალით მიგვათრევს. რატომ? ძალით რატომ აკეთებს მთავრობა ამას? — კითხულობს ჭიაბერაშვილი.

„კომერსანტი“

## ჩუტყვავილას საწინააღმდეგო ვაქცინა საქართველოში ხელმისაწვდომი არ არის

ჩუტყვავილას საწინააღმდეგო ვაქცინა საქართველოში ხელმისაწვდომი არ არის. როგორც „ინტერპრესნიუსს“ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის იმუნოპროფილაქტიკური სამმართველოს უფროსმა ლიკა ჯაბიძემ განუცხადა, ვაქცინაცია აცრების კალენდარში არ შედის, რადგან ქვეყანაში ამის საჭიროება არ ყოფილა.

რაც შეეხება კერძო სექტორს, ჯაბიძის ინფორმაციით, მათთან მუდმივი კომუნიკაცია აქვთ, თუმცა კერძო სექტორი ვაქცინის შემოტანაზე უარს იმიტომ ამბობს, რომ ვაქცინაზე მოთხოვნა არ ფიქსირდება. მისივე თქმით, აღნიშნული საკითხის განხილვა აქტიურად მიმდინარეობს და არ არის გამორიცხული, მომავალში ჩუტყვავილას საწინააღმდეგო ვაქცინა კალენდარული გახდეს.

— ჩუტყვავილას საწინააღმდეგო ვაქცინაცია აცრების კალენდარში არ შედის ამ ეტაპზე, რაც დამოკიდებულია ქვეყნის საჭიროებაზე და განაპირობებს ეპიდემიოლოგიური სიტუაცია. აღნიშნული საკითხი განხილვის საგანია და სამომავლოდ შეიძლება დადგეს საკითხი, ვაქცინაციის კალენდარში ჩასმაზე. ამ ეტაპზე აღნიშნული ვაქცინაცია კერძო სექტორსაც არ აქვს იმ მიზეზით, რომ მოსახლეობის მხრიდან მოთხოვნა ნაკლებია. აქედან გამომდინარე საქართველოში ვაქცინა არ არის. გუშინ გვქონდა კერძო სექტორთან ამაზე საუბარი და აცხადებენ, რომ მოთხოვნა უნდა იყოს, რომ ვაქცინა შემოიტანონ, — აღნიშნა ლიკა ჯაბიძემ.

2018, 21 თებერვალი, №43

# როგორ დავიბრუნოთ გაჩუქებული ქონება?



რა არის ჩუქება? რას ითვალისწინებს და როგორ არეგულირებს კანონმდებლობა მჩუქებლისა და დასაჩუქრებულის უფლება-მოვალეობებს?

შეგიძლიათ თუ არა გაჩუქებული ნივთის უკან დაბრუნება? საკითხზე ამომწურავ ინფორმაციას საადვოკატო ბიურო OK&CG-ის ადვოკატი ანა გორდეზიანი მოგაწვდით.

***– რა არის და რას ითვალისწინებს ჩუქების ხელშეკრულება?***

– საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ჩუქების ხელშეკრულებით, მჩუქებელი დასაჩუქრებულს უსასყიდლოდ გადასცემს ქონებას საკუთრებაში, მისი თანხმობით. აქედან გამომდინარე, ჩუქების ხელშეკრულება წარმოადგენს უსასყიდლო, ქონების საკუთრებაში გადაცემის ტიპის ხელშეკრულებას.

***– რა ფორმაა განსაზღვრული ჩუქების ხელშეკრულების დასადებად?***

– მოძრავ ნივთზე ხელშეკრულება დადებულად ითვლება ქონების გადაცემის მომენტიდან, ხოლო თუ საქმე ეხება უძრავ ნივთს, იგი დადებულად ითვლება ხელშეკრულებით განსაზღვრული საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. ჩუქების ხელშეკრულება შესაძლებელია, დაიდოს როგორც სანოტარო წესით, ასევე მარტივი წერილობითი ფორმით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ხელშეკრულებაზე მხარეთა ხელმოწერა იუსტიციის სახლის ან საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ მოწმდება.

***– რაზეა დამოკიდებული ჩუქების ხელშეკრულების ნამდვილობა?***

– მხარეებს შეუძლიათ, დაადგინონ, რომ ჩუქების ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია ამა თუ იმ პირობის შესრულებაზე ან განსაზღვრული მიზნის მიღწევაზე. ეს მიზანი შეიძლება, იყოს საერთო-სასარგებლოც (შეწირულობა). თუ დასაჩუქრებული პირობას არ შეასრულებს, მაშინ მჩუქებელს შეუძლია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

***– ჩუქების ხელშეკრულება წარმოშობს რაიმე ვალდებულებას?***

– ჩუქების ვალდებულება შესაძლებელია წარმოშვას აგრეთვე საჩუქრის დაპირებამაც. დადგენილია, რომ საჩუქრის დაპირება წარმოშობს ჩუქების ვალდებულებას მხოლოდ მაშინ, თუ იგი წერილობითი ფორმითაა დადებული. ჩუქების დაპირება წინარე ხელშეკრულებაა, რომელიც პირს მომავალში ხელშეკრულების დადებას ავალებს, რაც ნივთის გადაცემით განხორციელდება.

***– რა შემთხვევაში შეიძლება, გაუქმდეს ჩუქების ხელშეკრულება?***

– რაც შეეხება ჩუქების ხელშეკრულების გაუქმებას, ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩენს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ.

***– როგორ განისაზღვრება კანონმდებლობაში შეურაცხყოფა ან უმადურობა?***

– კანონი პირდაპირ არ განსაზღვრავს, თუ რა შეიძლება, ჩაითვალოს მძიმე შეურაცხყოფად ან დიდ უმადურობად, რომლის გამოც შეიძლება, ჩუქების ხელშეკრულება გაუქმდეს. შესაბამისად, სასამართლო, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ვალდებულია, დასაჩუქრებულის უმადურობის ხარისხი განსაზღვროს და მანვე უნდა გადაწყვიტოს საკითხი იმის შესახებ, წარმოადგენს თუ არა დასაჩუქრებულის ქმედება არაზნეობრივ, გასაკიცხ საქციელს, რაც, შეიძლება, შეფასდეს მძიმე შეურაცხყოფად ან უმადურობის გამოვლენად, შესაბამისად, წარმოიშვას ჩუქების გაუქმების საფუძველი. თავისთავად, „მძიმე შეურაცხყოფა“ და „დიდი უმადურობა“, ანუ უმადურად ქცევა, შეფასებითი კატეგორიაა, რასაც გარემოებათა ურთიერთშეჯერების შედეგად სასამართლო განსაზღვრავს.

ერთგვაროვანი პრაქტიკით დადგენილია, რომ სასამართლოს და არა თავად მოსარჩელის შეფასების საგანია, წარმოადგენს თუ არა კონკრეტული ფაქტი ისეთი სახის შეურაცხყოფას ან უმადურობას, რაც ჩუქების გაუქმებას შეიძლება, დაედოს საფუძვლად. სასამართლომ მხარეთა ურთიერთდამოკიდებულების, მათი შეხედულებების, თავად ქმედების შეფასების, ასევე კონკრეტულ საზოგადოებაში არსებული წეს-ჩვეულებებისა და დამკვიდრებული მოსაზრებების გათვალისწინებით უნდა განსაზღვროს, იჩენს თუ არა დასაჩუქრებული უმადურობას გამჩუქებლის მიმართ ან არის თუ არა მისი ქმედება შეურაცხმყოფელი.

ბუნებრივია, ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, თავად მხარის სუბიექტური დამოკიდებულება კონკრეტული ქმედების მიმართ, მაგრამ გადამწყვეტია ამ ქმედების იმ თვალსაზრისით შეფასება, ობიექტურად არის თუ არა მიჩნეული უმადურობად ან შეურაცხყოფად ეს ქმედება. მით უფრო, რომ სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლიდან გამომდინარე, დასაჩუქრებულის მხოლოდ მძიმე შეურაცხყოფა და დიდი უმადურობა იძლევა ჩუქების გაუქმების საფუძველს და არა ყოველგვარი გასაკიცხი ქმედება.

ჩუქების ხელშეკრულება შეიძლება, გაუქმდეს ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას ჩუქების გაუქმების უფლებას აძლევს.

ამასთან, კანონმდებლობა მჩუქებელს საშუალებას აძლევს, დასაჩუქრებულისგან ნივთის უკან დაბრუნება მოითხოვოს, თუ ჩუქების შემდეგ მჩუქებელი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება და არ შეეძლება საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა. თუმცა, ამ შემთხვევაში, კანონმდებლობა ადგენს გამონაკლისს, რომლის მიხედვითაც გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა არ შეიძლება, თუ გამჩუქებელმა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით ჩაიგდო თავი მძიმე მდგომარეობაში.

ხშირია შემთხვევა, როდესაც ოჯახის წევრი მეორე ოჯახის წევრს ჩუქების საფუძველზე საკუთრებაში გადასცემს უძრავ ქონებას. ქონების საკუთრებაში მიღების შემდეგ დასაჩუქრებულები აღარ აძლევენ უფლებას მჩუქებელს, გამოიყენოს საცხოვრებელი ფართი და მის დაუყოვნებლივ დაცლას სთხოვენ. ასეთ შემთხვევაში თქვენ უფლება გაქვთ, მიმართოთ სასამართლოს და მოითხოვოთ ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება, რის შემდეგაც გაჩუქებული ქონება საკუთრებაში დაგიბრუნდებათ.

# თემურ ბასილია: „ქვეყანაში ბანკების ლიკვიდობის პრობლემა დგას“

– ქვეყანაში ბანკების ლიკვიდობის პრობლემა დგას.

ამის შესახებ „კომერსანტს“ ფინანსისტმა თემურ ბასილიამ განუცხადა. მისი განცხადებით, იმის გამო, რომ ეს პრობლემა არსებობს, ეროვნული ბანკი მათზე რეფინანსირების სესხებს გასცემს. სინამდვილეში კი როგორც ბასილია განმარტავს, ეს რეფინანსირების სესხები კი არა, ბოლო ინსტანციის სესხებია.

– თავად რეფინანსირების სესხების სისტემა ძალიან სწორი რამ არის, რომელიც ბანკებისთვის დროებით შექმნილ პრობლემებს აგვარებს, მაგრამ როდესაც ბანკებს რეფინანსირების სესხები უკვე წლების განმავლობაში სჭირდება და თან მისი მოცულობა მილიარდ ლარს აღემატება, ეს უკვე აღარ არის დროებითი პრობლემა, ეს სერიოზული, კომპლექსური პრობლემაა, – აცხადებს ბასილია.



მისივე მოსაზრებით, საბანკო სისტემაში მდგომარეობა იმდენად რთული იყო, რომ ფინანსთა სამინისტროც კი გახდა იძულებული მათთვის სესხები მიეცა და თავისი დეპოზიტები განეთავსებინა. ბასილია აცხადებს, რომ ყველაფერი ეს მიუთითებს იმაზე, რომ საბანკო სისტემაში სერიოზული სტრუქტურული რეფორმებია გასატარებელი.

კერძოდ, ბანკები უნდა დაუბრუნდნენ მხოლოდ საბანკო საქმიანობას და სხვა ბიზნესებიდან უნდა გამოვიდნენ.

– ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ეროვნული ბანკი და მისი საბანკო ზედამხედველობის სამსახური ვერ ასრულებს თავის უშუალო მოვალეობას და მოვლენები თვითდინებაზეა მიშვებული. ეს კი, კარგ შედეგამდე არ მოგვიყვანს, – აცხადებს ბასილია.

როგორც ცნობილია, ფიზიკური პირების სესხები კომერციული ბანკების მიმართ 2018 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით 19.7 მილიარდ ლარს შეადგენს და ეს მაჩვენებელი მზარდია. ამასთან, მზარდია მოსახლეობის გადახდისუნარიანობის მაჩვენებელიც. კითხვაზე, ამ ტენდენციის შენარჩუნების შედეგად ხომ არ დადგება კომერციული ბანკების ლიკვიდურობის პრობლემა ან ვთქვათ, რა არის ის კრიტიკული ზღვარი, რის შემდეგაც შესაძლოა უკვე საუბარი იყოს დეფოლტზე, ბასილია განმარტავს, რომ რაიმე კონკრეტულ კრიტიკულ ზღვარზე საუბარი რთულია, რადგან ეს ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის, ბანკების მიერ გაცემულ სესხებზე და იმაზე, თუ რამდენად დაბრუნებადია ეს სესხები.

მისივე განცხადებით, საბანკო სექტორში სხვა პრობლემებიცაა, მათ შორისაა, ბანკების მიერ უცხოეთიდან მოზიდული სახსრების საკმაოდ მაღალი დონე. „ეს მოზიდული სახსრები საკმაოდ მაღალი პროცენტით უკან დასაბრუნებელია. ფაქტია, რომ ბანკებს უჭირთ უცხოური სესხების დროულად მომსახურება. ამიტომაც, არის ასეთი რყევები სავალუტო ბაზარზე და ამიტომაც არის ლარის კურსი არასტაბილური. იმდენად ბევრი პრობლემაა დაგროვებული საბანკო სისტემაში, რომ სულ მცირე გადახრამაც კი შეიძლება სერიოზული რყევები გამოიწვიოს. ამიტომაც არის აუცილებელი ყველა სტრუქტურამ და პირველ რიგში, ეროვნულმა ბანკმა შეასრულოს თავისი ფუნქცია და ქართული საბანკო სისტემის გაჯანსაღების და სტრუქტურული რეფორმების მკაფიო და კონკრეტული გეგმა ჩამოაყალიბოს“, – აცხადებს ბასილია.

# ემუქრება თუ არა საფრთხე ფშავ-ხევსურეთისა და თუშეთის დაცულ ტერიტორიებს



ეკოლოგები „სნო-ჯუთა-როშკა-შატილი-ომალო-ხადორის ხეობა-ბაწარა და ახმეტის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მშენებლობას აპროტესტებენ. რამდენიმე დღის წინ სოციალურ ქსელში გავრცელდა პეტიცია, რომელსაც არაერთი არასამთავრობო ორგანიზაცია თუ სამოქალაქო აქტივისტი აწერს ხელს და ახალი გზის პროექტს აპროტესტებს.

სპეციალისტების შეფასებით, პროექტის რეალიზაციის შემთხვევაში დაზარალდება გარემო და ვერც ეკონომიკურ სარგებელს მივიღებთ. როგორც „მწვანე ალტერნატივის“ ბიომრავალფეროვნების პროგრამების კოორდინატორი ირაკლი მაჭარაშვილი აცხადებს, საეჭვოა პროექტის განხორციელების და გარემოზე ზემოქმედების ხარჯები რამდენად არის შესაბამისი იმ სარგებელთან, რასაც მთავრობა მოელის.

– ეს ახალი გზა უნდა დაიგოს ნაკრძალებისა და ეროვნული პარკის გავლით (ფშავ-ხევსურეთისა და თუშეთის დაცული ტერიტორია). მაქვს ინფორმაცია, რომ შეიძლება ეს მკაცრად დაცული ტერიტორიები საერთოდ გააუქმონ კიდეც. იმ ტერიტორიაზე, სადაც ეს გზა გაივლის, ადამიანები აკეთებენ მიწის რეგისტრაციებს, შემდეგ კი იღებენ კომპენსაციას. შეიძლება ამ შემთხვევაშიც გარკვეულ კორუფციულ გარიგებასთან გვქონდეს საქმე, – აღნიშნავს მაჭარაშვილი.

ირაკლი მაჭარაშვილის არგუმენტებს იზიარებს პეტიციის ერთ-ერთი თანაავტორი, ტურისტული ასოციაციების თავმჯდომარე ია თაბაგარიც.

– სამანქანო გზა ნიშნავს იმას, რომ ეკოტურიზმი უნდა ჩანაცვლდეს მასობრივი ტურიზმით. უმჯობესი იქნება, თუ მოეწყობა საფეხმავლო ბილიკები, გადასასვლელები, საოჯახო სასტუმროები და აგრობიზნესის განსავითარებლად საჭირო ინფრასტრუქტურა, – აცხადებს თაბაგარი.

არსებული პროექტის შესახებ „კომერსანტი“ განმარტებისათვის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაუკავშირდა. როგორც უწყებაში განაცხადეს, ამ ეტაპზე მიმდინარეობს პროექტის შესწავლა და მზადდება შენიშვნები საქმიანობის განმახორციელებლისთვის, რამდენიმე დღეში კი ინფორმაცია საჯარო გახდება.

„კომერსანტი“ დაინტერესდა რა რეალური სარგებელი და ეკონომიკური ეფექტი ექნება ახალ გზას. როგორც საგზაო დეპარტამენტის თავმჯდომარე გიორგი სეთურიძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, პროექტი სამ ძირითად მიმართულებას მოიცავს.

– პირველ რიგში, ეს გზა უკვე არსებული გზების ერთგვარი რეაბილიტაციაა. მეორე – სადაც უსაფრთხო გზაა, იქ ვითარდება ტურიზმი და მესამე – გზა ეს რეგიონებს შორის უსაფრთხო კავშირია, ანუ საშუალება გვექნება თუშეთთან შეუფერხებელი და უსაფრთხო კავშირი უზრუნველვყოთ. შესაბამისად, რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას შევუწყოთ ხელი. რაც შეეხება ბიუჯეტს, თავის დროზე პროექტის განხორციელებისთვის გამოიყო 120 მილიონი ლარი, ამჯერად კი თანხები გამოყოფილია სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის, – აღნიშნა სეთურიძემ.

# რკინიგზა გროზნოდან თბილისამდე – ვის სურვილს ახმოვანებს კადიროვი



ჩეჩნეთის ხელმძღვანელი რამზან კადიროვი გროზნო-თბილისი-სტამბოლის დამაკავშირებელი რკინიგზის აშენების ინიციატივით გამოდის.

– მოვა დრო, გავწმენდთ დაბრკოლებებს ჩეჩნეთ-საქართველოს დამაკავშირებელ გზაზე და ის გახდება რუსეთ-საქართველოს მეგობრობის გზა, – აცხადებს რამზან კადიროვი.

ჩეჩნეთის მეთაური დარწმუნებულია, რომ არღუნის ხეობის გავლით გროზნო- თბილისი-სტამბოლის დამაკავშირებელი სარკინიგზო მაგისტრალის აშენება სავსებით შესაძლებელია.

შეგახსენებთ, რომ ახლო მომავალში თბილისსა და გროზნოს შორის ავიამიმოსვლის დაწყება იგეგმება. გროზნოს აეროპორტის ხელმძღვანელობის განცხადებით, პირდაპირი ავიარეისები გროზნოდან თბილისის მიმართულებით, სავარაუდოდ, აპრილში დაიწყება.

## „თავისუფალი საქართველო“ – RMG GOLD გარემოს წამლავს

დმანისის მუნიციპალიტეტში კომპანია RMG GOLD-ის საქმიანობასა და გარემოზე ზემოქმედების დოკუმენტზე იმსჯელეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ „თავისუფალი საქართველოდან“ აცნობეს, გარემოზე ზემოქმედების დოკუმენტი ზედამხედველობის სამსახურმა შეიმუშავა.

– ჩატარდება ახალი კვლევები, რომელსაც ოპოზიციის, არასამთავრობოების და მათ შორის ჩვენი წარმომადგენლებიც დააკვირდებიან. კახა კუკავამ წარადგინა მონაცემები, რომელიც შეეხება ტყვიისა და კადიუმინის მომატებას ნიადაგსა და წყალში, – აცხადებენ პარტიაში.

მათივე ინფორმაციით, განხილვას აგრეთვე ესწრებოდნენ ცოტნე გამსახურდია, „საყდრისის კომიტეტის“ წევრები, „შეაჩერე კორუფციის“ ხელმძღვანელი ვატო გელაშვილი და სხვა პირები.

## ავტოავარიას თბილისში ერთი ადამიანი ემსხვერპლა და ერთი დაშავდა

კახეთის გზატკეცილზე ორი მსუბუქი ავტომობილი 2 ადამიანს გზის გადაკვეთის დროს დაეჯახა, რომლებიც, არსებული ინფორმაციით, ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ.

შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა 1 პირი, ხოლო მეორე საავადმყოფოშია მოთავსებული.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის გულისხმობს, რამაც გაუფრთხილებლობით ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

## „ციანიდის საქმის“ ადვოკატები გაუთქმელობის პრინციპს საკონსტიტუციო სასამართლოში ასაჩივრებენ



დეკანოზ გიორგი მამალაძის ადვოკატები საკონსტიტუციო სასამართლოში გაუთქმელობის პრინციპსა და შესაბამის მუხლებს ასაჩივრებენ და სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას ითხოვენ.

– ჩვენ გავასაჩივრეთ გაუთქმელობასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის რამდენიმე ნორმა, რის გამოც ჩვენ დაცვის უფლება გვეზღუდებოდა ამ ხნის განმავლობაში. თუ ამ ეტაპზე მაინც მოხერხდება და ეს ვალდებულება გაგვიუქმდება და საკონსტიტუციო სასამართლო გააკეთებს შესაბამის განმარტებას, ჩვენ აუცილებლად მოვახერხებთ სათანადო დაცვას. მით უმეტეს, როდესაც ჯერ კიდევ დარჩენილია უზენაესი სასამართლო. ჯერ კიდევ შესაძლებელია ის, რომ ის უფლებები, რომლებიც დაირღვა ამ გაუთქმელობის ვალდებულებიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე მაინც გამოსწორდეს, – განაცხადა ადვოკატმა გიორგი ფანცულაიამ.

## გერმანიაში ქურდობის ბრალდებით დაკავებულ საქართველოს 2 მოქალაქეს პატიმრობა შეუფარდეს




გერმანიის ქალაქ კემნიცში ქურდობისთვის დაკავებულ საქართველოს მოქალაქეებს შაბათს გერმანიის სასამართლომ პატიმრობა შეუფარდა. გერმანული მედიის ცნობით, 33 და 35 წლის მამაკაცები რამდენიმე დღის წინ ბინის გაქურდვის მცდელობისას დააკავეს.

## იტალიაში ქურდობაში ბრალდებული საქართველოს მოქალაქე დააკავეს

იტალიაში ქურდობის ბრალდებით საქართველოს მოქალაქე დააკავეს. იტალიური მედიის ცნობით, მან თანამზრახველთან ერთად ქალაქ მატერას ცენტრში მდებარე სახლიდან ძვირფასეულობა და თანხა მოიპარა. ქურდობაში ბრალდებულების პოვნა მათი მანქანის სანომრე ნიშნებით გახდა შესაძლებელი.

პოლიციამ ნაქურდალი ნივთები ბრალდებულების ბინაში აღმოაჩინა. დაპატიმრების შემდეგ მამაკაცი ციხეში გადაიყვანეს.

# ირაკლი კობახიძე: „მუხთარლის საქმეზე საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხს შეგვიძლია მივუბრუნდეთ“



– მუხთარლის საქმეზე საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხს შეგვიძლია მივუბრუნდეთ, თუ გამოძიება შედეგს დროულად ვერ დადებს. საგამოძიებო კომისიის შექმნა დღის წესრიგიდან მოხსნილი არ არის და საკითხს შეგვიძლია მივუბრუნდეთ, თუ დავინახავთ, რომ გამოძიება შედეგს დროულად ვერ დებს, – ასე ეხმაურება პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე არასამთავრობო ორგანიზაციების მოთხოვნას, რომ აზერბაიჯანელი ჟურნალისტის, აფგან მუხთარლის საქმეზე პარლამენტში საგამოძიებო კომისია შეიქმნას.

კობახიძის თქმით, საგამოძიებო კომისიის შექმნა არასოდეს ყოფილა გამორიცხული.

– ჩვენ თავის დროზე აღვნიშნეთ, რომ არ გამოვრიცხავდით საგამოძიებო კომისიის შექმნას. მუხთარლის საქმე არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საქმე ჩვენთვის და ამასთან დაკავშირებით ისმება კითხვები, მათ შორის უცხოელი პარტნიორების მხრიდან და ესეც რომ არ იყოს, ჩვენთვის არის მნიშვნელოვანი ის, რომ გაირკვეს, რა მოხდა, როგორ მოხდა და აქედან გამომდინარე, პარლამენტი ამ მიმართულებით არის განსაკუთრებით დაინტერესებული. რაც შეეხება საგამოძიებო კომისიის შექმნას, ამას სჭირდება აწონ-დაწონა.

ჩვენ ვიცით, რომ იყო მოთხოვნა შსს-დან, გადასულიყო გამოძიება პროკურატურაში და ახლა პროკურატურა იძიებს საქმეს. შეიძლება მივცეთ დამატებითი დრო პროკურატურას იმისათვის, რომ ბოლომდე მიიყვანოს გამოძიება, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

მისივე თქმით, საქმის გამოძიების დროს პროკურატურას გარკვეული სირთულეები აქვს, მათ შორის ის, რომ აფგან მუხთარლის გამოკითხვა შეუძლებელია.

– პროკურატურას აქვს სირთულეები საქმის გამოძიების დროს, მათ შორის იმის გამო, რომ შეუძლებელია მუხთარლის გამოკითხვა ამ საქმესთან დაკავშირებით, რაც ართულებს, ბუნებრივია, საქმის გამოძიებას. ჩვენ შეგვიძლია დრო მივცეთ, ჯერჯერობით, პროკურატურას დამატებით, რომ გამოიძიოს საქმე. რაც შეეხება საგამოძიებო კომისიის შექმნას, ეს დღის წესრიგიდან მოხსნილი არ არის და საკითხს შეგვიძლია მივუბრუნდეთ იმ შემთხვევაში, თუ დავინახავთ, რომ გამოძიება შედეგს დროულად ვერ დებს, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

# გურამ დონაძე ბუტა რობაქიძის დაღუპვის ადგილიდან მტკიცებულებებს ასაჯაროებს



ბუტა რობაქიძის დაღუპვის ადგილზე მტკიცებულებების გაყალბებასთან დაკავშირებით ბრალდებებს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ყოფილმა უფროსმა გურამ დონაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე უპასუხა. დონაძემ ის მასალები გაასაჯაროვა, რომლებიც, მისი მტკიცებით, ადასტურებს, რომ შემთხვევის ადგილი არ გაყალბებულა.

დონაძის განცხადებით, 2004 წელს მომხდარი შემთხვევის ამსახველ კადრებში ჩანს ცოცხალი ბუტა რობაქიძე, ასევე ერთ-ერთი დაკავებულის საათი, რომელიც 02:20 წუთს აჩვენებს. ადგილზე სასწრაფო მივიდა 02:22 წუთზე, ხოლო თავად გურამ დონაძე შემთხვევის ადგილზე 02:31 წუთზე მივიდა.

– ეს არის გასროლის შემდგომი ვიდეოკადრი, ასევე უწყვეტი, სადაც დაჭრილი ამირან რობაქიძე ჯერ კიდევ სუნთქავს და საპატრულო პოლიცია იარაღს პოულობს და იღებენ, ხელით აქეთ-იქით დაატარებენ. უწყვეტ კადრში ჩანს ცრუ მოწმე, გოჩა მუკბანიანი, რომელიც დამატებით იძახებს სასწრაფოს და 022-ის ცენტრს ატყობინებს, რომ არიან დაჭრილები და დაკავებულია შეიარაღებული ჯგუფი. ამავე ნაწილში, რაც დღემდე არ გვითქვამს, ჩანს ერთ-ერთი დაკავებულის მაჯაზე საათი და ზუსტი დრო, ეს დრო ექსპერტიზით დადასტურებულია და არის 02:20 საათი, ასევე პროკურატურის მტკიცებულებით, სასწრაფო შემთხვევის ადგილზე მოდის 2:30 საათზე, ხოლო რაც აქამდე არ მითქვამს, გურამ დონაძე შემთხვევის ადგილზე ანძებით მიდის და ფიქსირდება 02:31 საათზე, – განაცხადა გურამ დონაძემ.

# „ანა დოლიძეს მოქმედი ადეიშვილისა და მოქმედი სააკაშვილის არ ეშინოდა და კომიკურია, რომ დღეს ვინმესი შეეშინდეს“



თელავის უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრისას საქართველოს პრეზიდენტი იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ბოლო დროს მიმდინარე პროცესებს გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ანა დოლიძეს „მოქმედი ადეიშვილისა და მოქმედი სააკაშვილის“ არ ეშინოდა და კომიკურია, რომ დღეს ვინმესი შეეშინდეს. პრეზიდენტი იმედს გამოთქვამს, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში პროცესები ცივილიზებულ სახეს მიიღებს.

– ბევრი ადამიანი, მათ შორის მოსამართლე, მაშინ შინაგან სინდისს უსმენდა ხოლმე ტელეფონის ზარით, რომელიც შედიოდა ადეიშვილის კაბინეტიდან. ასე, რომ ანა დოლიძე, რომელსაც ასეთი ბიოგრაფია აქვს, მას ჩემი დაცვა ნამდვილად არ სჭირდება.

ანა დოლიძის გამოცდილება, როგორი ცხოვრებითაც იცხოვრა და როგორც ემსახურა ჩვენს სამშობლოს, ძალიან კარგია არა მარტო იმით, რომ მას შეუძლია წყნარად მოიხედოს და თავის წარსულზე თქვას, რომ არ იყო შემთხვევა, როცა მას თვალი დაუხუჭია სხვის ჩაგვრაზე, მკვლელობაზე, ციხეში უსამართლოდ ჩასმაზე, ამის გარდა, ქალბატონ ანას და იმ ადამიანებს, ვინც მაშინ იყვნენ აქტიურები, შეიძინეს ასევე სერიოზული გამოცდილებაც.

მოქმედი ადეიშვილის და მოქმედი სააკაშვილის არ ეშინოდა ანა დოლიძეს და კომიკურია, რომ დღეს ვინმესი შეეშინდეს მას. რა თქმა უნდა, მე იმედი მაქვს, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მიმდინარე პროცესები უფრო ცივილიზებულ სახეს მიიღებს და ბოლოს და ბოლოს, იქაური აქტორები მიხვდებიან, რომ ბულინგით ვერაფერს ვერ გაიტანენ და დაიწყება შინაარსობრივი დისკუსია სასამართლო სისტემის რეფორმირებაზე, რაც ასე ძალიან სჭირდება ჩვენს ქვეყანას, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

# სოსო ბარათაშვილი: „ჩაბუქის საქმისწარმოებაში მნიშვნელოვანია საერთაშორისო და ადგილობრივი გავლენიანი ორგანიზაციების მონაწილეობა“




– ჩაბუქის საქმისწარმოებაში მნიშვნელოვანია საერთაშორისო და ადგილობრივი გავლენიანი ორგანიზაციების მონაწილეობა, რათა გამჭვირვალობის ხარისხი გაიზარდოს. ვითარება, გარკვეულწილად, შეცვლილია, მაგრამ თვითდამშვიდების არანაირი უფლება არ გვაქვს.

ამის შესახებ მუსტაფა ემრე ჩაბუქის ადვოკატმა სოსო ბარათაშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, აღნიშნული საქმის განხილვაში დიდ როლს თამაშობს გეოპოლიტიკური მდგომარეობა და ის პოლიტიკური პროცესები, რომელიც თურქეთში მიმდინარეობს და რომელმაც შესაძლოა საქართველოზე იქონიოს გავლენა. ადვოკატის განცხადებით, მნიშვნელოვანია ჩაბუქის საქმის წარმოებაში საერთაშორისო და ადგილობრივი გავლენიანი ორგანიზაციების მონაწილეობა, რათა გაიზარდოს გამჭვირვალობისა და სამართლიანობის ხარისხი. ადვოკატი დარწმუნებულია, რომ თუ სასამართლო სამართლებრივად იმსჯელებს, მისი დაცვის ქვეშ მყოფის თურქეთში ექსტრადირება არ მოხდება.

– სასამართლო გაურკვეველი ვადით გადაიდო და მომდევნო სხდომაზე განხილვა ჩვენი ვრცელი პოზიციის წარდგენით გაგრძელდება. ვფიქრობთ, რომ თუ სამართლებრივად მიუდგება სასამართლო შუამდგომლობის განხილვას, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვას მუსტაფა ემრე ჩაბუქის თურქეთში ექსტრადირება, – განაცხადა სოსო ბარათაშვილმა.

# გვარის შეცვლის წესი მკაცრდება

იუსტიციის სამინისტრომ უკვე დაასრულა მუშაობა საკანონმდებლო ცვლილებებზე, რომელიც ქვეყანაში გვარის შეცვლის წესს მნიშვნელოვნად გაამკაცრებს. თეა წულუკიანი მიიჩნევს, რომ გვარის შეცვლის წესი გასამკაცრებელია, ვინაიდან ამით არაკეთილსინდისიერი მოქალაქეები სარგებლობენ.

– იუსტიციის სამინისტროში დავასრულეთ მუშაობა საკანონმდებლო ცვლილებებზე, რომელიც მნიშვნელოვნად გაამკაცრებს საქართველოში გვარის შეცვლის საკითხს. მთავრობის და პარლამენტის მიერ ეს პროექტი გაზიარებული იქნება. გვარის საკუთარი ნება-სურვილით შეცვლა ისედაც აკრძალულია, მაგრამ შესაძლებელია, ადამიანმა მიიღოს მეუღლის, დედის, ბებიის ან წინაპრის გვარი. არ არის შეზღუდული რაოდენობა, თუ რამდენჯერ არის შესაძლებელი ამის გაკეთება. ვფიქრობთ, ეს წესი გასამკაცრებელია.



სხვადასხვა საელჩოდან და საკონსულოდან ჩვენი კონსულები გვწერენ, რომ საქართველოს არაკეთილსინდისიერი მოქალაქეები ამით სარგებლობენ, როდესაც ერთი გვარით ჩაიდენენ შენგენის სივრცეში დანაშაულს, შემდეგ ბრუნდებიან საქართველოში, მიიღებენ მეუღლის, ან ბებიის გვარს და შემდეგ ამ გვარის პასპორტით შედიან ისევ შენგენის ზონაში. ჩვენ ამას აღვკვეთთ სწორედ ამ წესების გამკაცრებით, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

# რუსეთი ახლო აღმოსავლეთში ახალ ბაზებს ქმნის?

მარიამ მჭედლიშვილი

ექსპერტები თვლიან, რომ სირიაში მიმდინარეობს ბევრი ომი ერთდროულად. ეს კიდევ უფრო ართულებს და ნაკლებად პროგნოზირებადს ხდის ახლო აღმოსავლეთში შექმნილ ვითარებას.

ამერიკელი ანალიტიკოსები არ გამორიცხავენ, რომ რუსეთმა ახლო აღმოსავლეთში ახალი სამხედრო ბაზების შექმნა მოინდომოს. ამის თქმის საფუძველს იძლევა რუსეთსა და ლიბანს შორის სამხედრო სფეროში თანამშრომლობის პერსპექტივები.

რუსეთის პრემიერ-მინისტრმა მედვედევმა დაავალა თავდაცვის სამინისტროს, დადოს ბეირუთთან სამხედრო თანამშრომლობის შეთანხმება. მოსკოვს სურს, რომ ლიბანის მთავრობამ გახსნას პორტები რუსეთის სამხედრო გემებისათვის და აეროპორტები სამხედრო თვითმფრინავებისათვის. დაგეგმილია ერთობლივი ორმხრივი წვრთნების გამართვა, ტერორიზმთან ერთად ბრძოლა და რუსი სამხედრო კონსულტანტების მივლინება ლიბანის შეიარაღებული ძალების მოსამზადებლად.

რუსეთს სირიაშიც აქვს სამხედრო ბაზები, თუმცა, დამასკოსაგან განსხვავებით, ბეირუთთან სამხედრო კონტაქტები და, მით უმეტეს, ლიბანში სამხედრო ბაზების განთავსება უფრო პრობლემატურია. ბოლო დროს ლიბანს აშშ-ისა და მისი მოკავშირეების მოწინააღმდეგედ მოიხსენიებენ.

ლიბანის შეიარაღებულ ძალებს ბოლო წლების განმავლობაში ორიენტაცია ძირითადად დასავლეთზე ჰქონდა აღებული. თვალშისაცემია აშშ-ის სოლიდური დახმარება შეიარაღებაში. ამასთან შედარებით რუსეთიდან მიღებული ტანკები და ცეცხლსასროლი იარაღი ბევრად მცირე მასშტაბისაა.



გარკვეული ხნის წინ ვაშინგტონში გამოთქვეს ეჭვი იმაზე, რომ ლიბანის შეიარაღებულ ძალებს კავშირი აქვს ირანის მიერ კონტროლირებად „ჰესბოლასთან“. თუ ეს დამტკიცდა, გამოვა, რომ აშშ წლების განმავლობაში ეხმარებოდა მტრებს.

შესაძლოა, ლიბანმა თავის ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზები არ განალაგოს და დათანხმდეს მხოლოდ რუსეთის სამხედრო გემებისა და თვითმფრინავების შეშვებას. ამითაც იქმნება ისრაელისგან „დამცავი ქოლგა“. მოსალოდნელია, რომ ბეირუთი დაიმუქროს კრემლთან სამხედრო თანამშრომლობის გაფართოებით, თუ ვაშინგტონისგან დიდი მოცულობით დახმარებას არ მიიღებს.

მოსკოვი-ბეირუთის დაახლოება სახიფათოა. მიუხედავად ამისა, ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ აშშ რუსეთს ლიბანის გამო არ დაუპირისპირდება.

აზიელი მიმომხილველების განცხადებით, სირიაში ესკალაციის მორიგი რაუნდი იწყება. აქ მოქმედ სახელმწიფოებს თავისი მიზნები ამოძრავებთ. აშშ-სთვის ესაა სირიის მმართველ ასადის ჩამოგდება, ირანისა და რუსეთის გავლენის შესუსტება. თურქეთისთვის – საკუთარი გავლენის ზრდა, ასევე სირიელ და ერაყელ ქურთებთან წინააღმდეგობა. საუდის არაბეთი დაინტერესებულია ირანის შევიწროებით. ირანს ებრძვის ისრაელი. ყატარი ხელს უწყობს სირიაში სუნიტური ხელისუფლების მოსვლას. გავლენებისთვის იბრძვიან ირანი და რუსეთი.

აზიელი ექსპერტები აცხადებენ, რომ ასადის დამხობის გეგმა, რომელიც ჯერ კიდევ 2011 წელს შემუშავდა, ჩავარდა. ეს რამდენიმე გარემოებამ განაპირობა: ასადს სირიის მოსახლეობიდან მხარი დაუჭირეს არა მხოლოდ ალავიტებმა, არამედ, ქრისტიანებმა და სხვა რელიგიურმა უმცირესობებმა; მას გვერდით დაუდგნენ ირანი და რუსეთი; ასადთან მებრძოლი აშშ იძულებული გახდა, გადართულიყო „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ბრძოლაზე; ასადის დარჩენას ხელისუფლებაში ხელი შეუწყო მისი მოწინააღმდეგეების დაქსაქსულობამ. მაგალითად, თურქეთი სირიაში ებრძვის ქურთებს, რომლებსაც ზურგს უმაგრებს ამერიკა.

ამ სიტუაციაში ექსპერტების ნაწილი გამოსავალს ხედავს სირიაში სამშვიდობო ძალების გაგზავნაში. ამ საკითხზე გაეროს უშიშროების საბჭომ უნდა იმსჯელოს.

# სირია და თურქეთი ომის ზღვარზე არიან?



© picture-alliance/abaca/E. Turkoglu

სირიის გარშემო მდგომარეობა სულ უფრო იძაბება. ქურთების ფორმირებებსა და ასადის ხელისუფლებას შორის შეთანხმების მიღწევა მოხერხდა. ქურთები დათანხმდნენ, რომ ასადის ჯარისკაცები ქალაქ აფრინში შევიდნენ, ამ საზღვრისპირა ქალაქს კი თურქი ჯარისკაცები უტევენ.

– აფრინში ქურთული ტერორისტული ფორმირებები გამაგრდნენ! ისინი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხეს უქმნიან, – განაცხადა პრეზიდენტმა ერდოღანმა.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვი ქურთებს კარგა ხანია არწმუნებდა, ასადთან საერთო ენა გამოძებნეთ და აფრინში მისი არმიის შეყვანას დათანხმდითო. ქურთები ყოყმანობდნენ. ასადისადმი მათი უარყოფითი დამოკიდებულება ცნობილია. ქურთები ერთხანს მთავარ იმედს აშშ-ის მხარდაჭერაზე ამყარებდნენ. ქურთულმა ფორმირებებმა ქალაქ რაქას აღებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს და ისლამისტების უმთავრესი საყრდენი ტერორისტებისგან გაწმინდეს. ამის შემდეგ ამერიკელებთან თაფლობის თვეც დამთავრდა. ქურთები დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას ცდილობენ, რაც ვაშინგტონის სქემაში არ ზის. თავის მხრივ, ერდოღანმაც განაცხადა, რომ თავისი ქვეყნის საზღვრებთან ქურთული ანკლავის შექმნას არ დაუშვებს.

– ტერორისტებს საკადრის პასუხს გავცემთ, – განაცხადა თურქეთის პრეზიდენტმა.

სიტყვას საქმეც მოჰყვა. თურქეთის არმია სირიაში შეიჭრა და აფრინის ქვემეხებით დაუთოება დაიწყო. ბოლოს ქურთული ფორმირებები იძულებული გახდნენ, ასადთან გარიგებაზე წასულიყვნენ.

– აფრინი სირიის ტერიტორიაზე იმყოფება! ჩვენ ამ ქალაქზე კონტროლს დავამყარებთ და იქ სასაზღვრო ბოძებს აღვმართავთ, – განაცხადა ასადმა.

თურქეთის საგარეო მინისტრმა ჩავუშოღლუმ თავის მხრივ აღნიშნა, რომ ასადს სრული უფლება აქვს, აფრინზე კონტროლი დაამყაროს და ამას მიესალმება კიდეც.

– თუ სირიის ლიდერს შეუძლია აფრინი ტერორისტებისგან გაწმინდოს, ეს შესანიშნავი იქნება, – თქვა ჩავუშოღლუმ.

ამავე დროს, მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ თუკი ასადი აფრინში ქურთების მხარდასაჭერად შედის, ამას საკადრისი პასუხი მოჰყვება.

– ყველას, ვინც ტერორისტებს დაეხმარება, ისევე გავუსწორდებით, როგორც ტერორისტებს, – თქვა ჩავუშოღლუმ.

სირიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ პასუხი არ დააყოვნა. მასში ნათქვამია, რომ თურქეთი ტერორისტებს თავად ეხმარება და ეს თანაბრად შეეხება როგორც სირიაში მცხოვრებ თურქებს, ასევე ფორმირებებს, რომლებიც თავს სირიის ზომიერ ოპოზიციას უწოდებენ.

ამის შემდეგ თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანი თავის რუს კოლეგას დაუკავშირდა. ერდოღანმა განაცხადა, რომ ნებისმიერი ფორმირება, რომელიც ქურთ ტერორისტებს დაეხმარება, განადგურებული იქნება.

პუტინმა უპასუხა, რომ ირანის პრეზიდენტთან ერთად მზადაა, ერდოღანს შეხვდეს და ყველა საკითხი მოლაპარაკებების მაგიდასთან გადაწყვიტოს.

# ყაზახეთი ლათინურ ანბანს დაუბრუნდა

ყაზახეთი ლათინურ ანბანს დაუბრუნდა. ამის თაობაზე პრეზიდენტ ნაზარბაევის პრესსამსახური იუწყება. ამრიგად, კირილიცა ოფიციალურად ამოიღეს ხმარებიდან.

ყაზახეთსა და შუა აზიის რესპუბლიკებში ანბანის გამო წარსულშიც უდიდესი ვნებათაღელვა იყო. რევოლუციამდე ისინი არაბულ ანბანს იყენებდნენ. ჯადიდები (მოძრაობა ისლამის განახლებისათვის) ლათინურ ანბანზე გადასვლას მოითხოვდნენ.

ცარიზმის დამხობისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ რუსეთი შეეცადა, მათთვის კირილაცა მოეხვია თავს. ამან წინააღმდეგობა გამოიწვია. კრემლიც ერთხანს იძულებული გახდა, დაეთმო. 1923 წლიდან არაბული ანბანი ლათინურმა ჩაანაცვლა.

1929 წელს სტალინმა კვლავ სცადა შუა აზიაში კირილიცა დაემკვიდრებინა. ამას უდიდესი კონფლიქტები მოჰყვა. სტალინს წინ აღუდგა როგორც უბრალო ხალხი, ასევე ინტელიგენცია და ნაციონალ-კომუნისტებიც. მიუხედავად რეპრესიებისა, სტალინი იძულებული გახდა, შეგუებოდა იმას, რომ შუააზიელებმა კირილიცაზე უარი განაცხადეს.

მესამე შეტევა 1934 წელს დაიწყო და 1936-ში დასრულდა. სტალინმა შუააზიელებს კირილიცა მოახვია თავს.

სსრკ-ს დანგრევის შემდეგ შუა აზიაში ნელ-ნელა კვლავ ლათინურ ანბანს დაუბრუნდნენ. იმის გამო, რომ რუსეთის გავლენა შენარჩუნდა, ეს პროცესი ნელა წარიმართა. განსაკუთრებულ სიფრთხილეს ყაზახეთის ლიდერი ნაზარბაევი იჩენდა. ეს გასაგებია, რადგანაც ყაზახეთის 62%-ს რუსულენოვანი მოსახლეობა შეადგენს.

ბოლოს ყაზახეთი ლათინურ ანბანს მაინც დაუბრუნდა.

## უკრაინამ რუსეთს ჰააგის ტრიბუნალში უჩივლა

უკრაინულმა მხარემ ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალს გადასცა მასალები რუსეთის მიერ საზღვაო სამართლის დარღვევების გამო.

საუბარია რუსეთის მიერ უკრაინელთა უფლებების შელახვაზე შავ და აზოვის ზღვებზე, აგრეთვე ქერჩის ყურეში.

– იმას, რასაც რუსეთი აკეთებს, საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევა ჰქვია, – განაცხადა პრეზიდენტმა პოროშენკომ.

მოსკოვი კიევს ვალში არ დარჩა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უკრაინას ოფიციალური ნოტა გადასცა. მასში გამოთქმულია პროტესტი უკრაინელი ნაციონალისტების მიერ კიევში როსსოტრუდნიჩესტვოს შენობის დარბევის გამო.

– მოვითხოვთ დარბევაში მონაწილე ყველა პირის გამოვლენასა და დასჯას, – ნათქვამია ნოტაში.

## მაიკ პენსი: „ჩრდილოეთ კორეასთან მოლაპარაკებები შესაძლებელია“

აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი მაიკ პენსი სეულის ოლიმპიადაზე ამერიკელთა დელეგაციას ხელმძღვანელობს. ჟურნალისტებთან საუბარში მან განაცხადა, რომ აშშ ჩრდილოეთ კორეასთან შეთანხმებას არ გამორიცხავს.

– ჩვენ მზად ვართ, თუნდაც არაფორმალური მოლაპარაკებები დავიწყოთ, ყოველგვარი წინასწარი პირობების გარეშე, – თქვა პენსმა.

სახელმწიფო მდივანი ტილერსონი ასეთ მოლაპარაკებებს არ გამორიცხავს.

– ჩვენ ჩრდილოეთ კორეასთან არაოფიციალური არხებიც გაგვაჩნია! ამერიკა დიალოგისთვის მზადაა, – თქვა ტილერსონმა.

## ჯეიმს მატისი: „დეირ-ეზ-ზორზე თავდასხმა ვიღაცის ბრძანებით მოხდა!“

როგორც ცნობილია, დეირ-ეზ ზორზე თავდასხმისას 200-მდე რუსი ჯარისკაცი დაიღუპა. აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა მატისმა განაცხადა, რომ სირიის დემოკრატიულ ძალებზე თავდასხმა ვიღაცის ბრძანებით მოხდა.

– ვერ დავიჯერებ, რომ ჯარისკაცებმა შეტევაზე გადასვლა თავად გადაწყვიტეს, – აცხადებს მინისტრი.

მატისმა თქვა, რომ მისთვის უცნობია იმ პიროვნების ვინაობა, ვინც შეტევაზე გადასვლის ბრძანება გასცა.

– შესაძლოა, ის სირიელი იყო, შესაძლოა, უცხოელი! – ამბობს მატისი.

მოამზადა ნიკა თევზაძე

## ლევადა-ცენტრი: „რუსეთი ტოტალიტარიზმისკენ მიექანება!“

ლევადა-ცენტრის დირექტორმა ლევ გუდკოვმა განაცხადა, რომ რუსეთში საარჩევნო პროცესმა ფარსის სახე მიიღო. არჩევნები, როგორც ასეთი, ცირკთანაა გაიგივებული.

– რუსეთი მიექანება ტოტალიტარიზმისკენ, სადაც ქვეყანას ბელადები მართავენ, – ამბობს გუდკოვი.

ლევადა-ცენტრის დირექტორი ხაზს უსვამს, რომ რუსეთში უკვე ძლიერდება პოლიციური რეჟიმი, ანტიამერიკული ისტერია, შოვინიზმი. სტალინს დიდ მოღვაწედ უკვე რუსეთის მოქალაქეთა 70% მიიჩნევს.

– ტოტალიტარიზმის რესტავრაციისთვის ყველაფერი მზადაა, – ამბობს გუდკოვი.


# განცხადებები

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივიუძლურება(იმპოტენცია),პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემებს: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართაპრობლემების:კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# საქართველოს ნაკრები უკვე ავსტრიაშია



საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები აგრძელებს მზადებას 2019 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის. როგორც ცნობილია, ილიას ზუროსის გაწვრთნილი გუნდი 23 თებერვალს ავსტრიას ეთამაშება, ხოლო 25-ში შინ დაუხვდება გერმანიას.

ავსტრიაში გამგზავრების წინ ილიას ზუროსმა საქართველოს ეროვნული ნაკრები სპორტის სასახლეში ინტენსიურად ავარჯიშა. იმ მოკლე დროში, რომელიც ფიბა-ს მიერ ფორმატის შეცვლის შემდეგ გუნდებს მოსამზადებლად ეძლევათ, ბერძენი სპეციალისტი ცდილობს, გუნდი მაქსიმალურად მოამზადოს. ამიტომაც, დილის ვარჯიში, თუ მცირე მოთელვას არ ჩავთვლით, პირდაპირ კომბინაციების დამუშავებით დაიწყო.

დილის ვარჯიშამდე ნაკრების მოთამაშეები ვაკეში მდებარე ფიტნეს-ცენტრ „ასპრიაში“ იმყოფებოდნენ, სადაც ტრენაჟორებზე დაკავდნენ და ამის შემდეგ მიაშურეს სპორტის სასახლეს. ივარჯიშა და კომბინაციების დამუშავებაში აქტიურად მონაწილეობდა ნაკრების ძირითადი გამთამაშებელი გიორგი ცინცაძე, რომელიც თბილისში რუმინეთიდან ჩამოვიდა. მასთან ერთად ივარჯიშა სერბული მეგა ბიმაქსის 18 წლის ცენტრმა გოგა ბითაძემ, რომელსაც ადრიატიკის ლიგაში საკმაო სათამაშო დრო აქვს და სხვებთან ერთად მისი დიდად ეიმედებათ მწვრთნელებს.

ეროვნულმა ნაკრებმა საღამოს გენერალური ვარჯიში გამართა და ვარჯიშიც კომბინაციებსა და ტაქტიკურ მონახაზს დაეთმო.

საქართველოს ნაკრები ავსტრიაში გაემგზავრა, სადაც ზუროსის გუნდს მაიკლ დიქსონიც შეუერთდება და ვარჯიშს იქ განაგრძობს.

# შენგელია მორიგი აღიარებისთვის ემზადება



საკალათბურთო ევროლიგის ვებგვერდის ცნობით, საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი და ესპანური ბასკონიას კაპიტანი თორნიკე შენგელია ევროლიგის სეზონის ყველაზე სასარგებლო მოთამაშის (მვპ) ტიტულის მოპოვების კანდიდატია.

შენგელიას გარდა, სეზონის მვპ-ის მოპოვების კანდიდატები არიან: ლუკა დონჩიჩი (რეალი, ესპანეთი), ნიკ კალატესი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), ნანდო დე კოლო, სერხიო როდრიგესი (ორივე ცსკა, რუსეთი), ბრედ ვანამეიკერი, იან ვესელი (ორივე ფენერბაჰჩე, თურქეთი), პაულიუს იანკუნასი (ჟალგირისი, ლიტვა), ალექსეი შვედი (ხიმკი, რუსეთი).

მვპ-ის დასახელების პროცედურა შემდეგნაირია: ევროლიგის მონაწილე 16 კლუბის მწვრთნელი 3 კალათბურთელს აარჩევს, მათგან საუკეთესოს კი გულშემატკივართა გამოკითხვა გამოავლენს. ევროლიგის წლის სეზონის საუკეთესო კალათბურთელს სპეციალურ პრიზს ბელგრადში, ოთხთა ფინალის მსვლელობისას გადასცემენ.

# შედეგები

**19 თებერვალი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. ასოციაციის თასი**

უიგანი-სიტი ............ 1:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ხეტაფე-სელტა ............ 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 24 | 19 | 5 | 0 | 62-11 | 62 |
| 2.ატლეტიკო | 24 | 16 | 7 | 1 | 36-9 | 55 |
| 3.ვალენსია | 24 | 14 | 4 | 6 | 47-28 | 46 |
| 4.რეალი | 23 | 13 | 6 | 4 | 55-26 | 45 |
| 5.სევილია | 24 | 12 | 3 | 9 | 31-35 | 39 |
| 6.ვილიარეალი | 24 | 11 | 5 | 8 | 35-29 | 38 |
| 7.ეიბარი | 24 | 10 | 5 | 9 | 32-36 | 35 |
| 8.ხირონა | 24 | 9 | 7 | 8 | 34-30 | 34 |
| 9.ხეტაფე | 24 | 8 | 9 | 7 | 29-21 | 33 |
| 10.ბეტისი | 24 | 10 | 3 | 11 | 41-50 | 33 |
| 11.სელტა | 24 | 9 | 5 | 10 | 41-37 | 32 |
| 12.სოსიედადი | 24 | 8 | 5 | 11 | 46-45 | 29 |
| 13.ლეგანესი | 23 | 8 | 5 | 10 | 20-25 | 29 |
| 14.ბილბაო | 24 | 6 | 10 | 8 | 24-27 | 28 |
| 15.ალავესი | 24 | 9 | 1 | 14 | 22-33 | 28 |
| 16.ესპანიოლი | 24 | 6 | 9 | 9 | 22-32 | 27 |
| 17.ლევანტე | 24 | 3 | 11 | 10 | 21-38 | 20 |
| 18.ლას პალმასი | 24 | 5 | 3 | 16 | 18-52 | 18 |
| 19.დეპორტივო | 24 | 4 | 5 | 15 | 24-53 | 17 |
| 20.მალაგა | 24 | 3 | 4 | 17 | 15-38 | 13 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

აინტრახტი-ლაიპციგი ............ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 23 | 19 | 2 | 2 | 55-18 | 59 |
| 2.დორტმუნდი | 23 | 11 | 7 | 5 | 48-29 | 40 |
| 3.აინტრახტი | 23 | 11 | 6 | 6 | 32-26 | 39 |
| 4.ლევერკუზენი | 23 | 10 | 8 | 5 | 43-30 | 38 |
| 5.ლაიპციგი | 23 | 11 | 5 | 7 | 36-31 | 38 |
| 6.შალკე | 23 | 10 | 7 | 6 | 36-30 | 37 |
| 7.ჰანოვერი | 23 | 8 | 8 | 7 | 32-33 | 32 |
| 8.აუგსბურგი | 23 | 8 | 7 | 8 | 32-29 | 31 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 23 | 8 | 7 | 8 | 37-37 | 31 |
| 10.გლადბახი | 23 | 9 | 4 | 10 | 30-35 | 31 |
| 11.ჰერტა | 23 | 7 | 9 | 7 | 30-30 | 30 |
| 12.ფრაიბურგი | 23 | 6 | 10 | 7 | 24-37 | 28 |
| 13.შტუტგარტი | 23 | 8 | 3 | 12 | 19-27 | 27 |
| 14.ვოლფსბურგი | 23 | 4 | 12 | 7 | 26-30 | 24 |
| 15.ვერდერი | 23 | 5 | 8 | 10 | 21-28 | 23 |
| 16.მაინცი | 23 | 6 | 5 | 12 | 28-41 | 23 |
| 17.ჰამბურგი | 23 | 4 | 5 | 14 | 18-34 | 17 |
| 18.კიოლნი | 23 | 3 | 5 | 15 | 20-42 | 14 |

**იტალია. სერია ა**

ლაციო-ვერონა ............ 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 25 | 21 | 3 | 1 | 55-15 | 66 |
| 2.იუვენტუსი | 25 | 21 | 2 | 2 | 62-15 | 65 |
| 3.რომა | 25 | 15 | 5 | 5 | 40-19 | 50 |
| 4.ლაციო | 25 | 15 | 4 | 6 | 61-33 | 49 |
| 5.ინტერი | 25 | 13 | 9 | 3 | 40-21 | 48 |
| 6.სამპდორია | 25 | 12 | 5 | 8 | 44-33 | 41 |
| 7.მილანი | 25 | 12 | 5 | 8 | 35-30 | 41 |
| 8.ატალანტა | 25 | 10 | 8 | 7 | 37-29 | 38 |
| 9.ტორინო | 25 | 8 | 12 | 5 | 35-30 | 36 |
| 10.უდინეზე | 25 | 10 | 3 | 12 | 36-36 | 33 |
| 11.ფიორენტინა | 25 | 8 | 8 | 9 | 34-32 | 32 |
| 12.ჯენოა | 25 | 8 | 6 | 11 | 21-25 | 30 |
| 13.ბოლონია | 25 | 9 | 3 | 13 | 31-38 | 30 |
| 14.კიევო | 25 | 6 | 7 | 12 | 23-42 | 25 |
| 15.კალიარი | 25 | 7 | 4 | 14 | 23-36 | 25 |
| 16.სასუოლო | 25 | 6 | 5 | 14 | 15-43 | 23 |
| 17.კროტონე | 25 | 5 | 6 | 14 | 21-44 | 21 |
| 18.სპალი | 25 | 3 | 8 | 14 | 23-47 | 17 |
| 19.ვერონა | 25 | 4 | 4 | 17 | 22-50 | 16 |
| 20.ბენევენტო | 25 | 3 | 1 | 21 | 18-58 | 10 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

კავაიი-ლანსი ............ 1:2

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ტონდელა-სპორტინგი ............ 1:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ლარისა-პანათინაიკოსი ............ 0:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

გენჩლერი-გიოზთეფე ............ 3:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

გურნიკი-ნეცეჩა ............ 3:0

**დანია. სუპერლიგა**

ორხუსი-სონდერიისკე ............ 0:0

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# დავით ხოჭოლავა: „რეალის გულშემატკივარი ვარ, მაგრამ მესი საუკეთესოა“



საქართველოს ნაკრებისა და დონეცკის შახტარის მცველი დავით ხოჭოლავა უკრაინაში პოპულარობით სარგებლობს. ჩვენებური გადაცემაში „ჰალსტუხის გარეშე“ მიიწვიეს. 25 წლის ქართველ ფეხბურთელს ტელეწამყვანმა ივანა ონუფრიიჩუკმა უმასპინძლა და ალაპარაკა როგორც სპორტულ, ისე ცხოვრებისეულ საკითხებზე, ათქმევინა სადღეგრძელო, გამოაცხობინა ხაჭაპური და სამახსოვრო საჩუქარიც უძღვნა.

***– შენს სამშობლოზე მოგვიყევი.***

– ასეთ სილამაზეს, ასეთ ბუნებას ვერსად ნახავთ. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ვყოფილვარ, მაგრამ მსგავსი არსად შემხვედრია. ამასთან, საქართველოში ძალიან კეთილი და სტუმართმოყვარე ხალხი ცხოვრობს.

***– ქართულ სამზარეულოზე რას გვეტყვით?***

– ეს უკვე საერთოდ ცალკე საკითხია. ქართული სამზარეულოს ორი მხარე აქვს – კარგიც და ცუდიც. კარგი ისაა, რომ ქართული კერძები უბრალოდ, ძალიან გემრიელია, მაგრამ ჩემთვის, როგორც ფეხბურთელისთვის, საზიანოა, რადგან ხინკალს რომ მიირთმევ, ნამდვილად ველარ გაჩერდები.

***– ყველაზე ცნობილი კერძი რომელია?***

– ალბათ, ხაჭაპური. შახტარში მოსვლის დღიდან მეკითხებიან, სად ვიყიდოთ, სად შევუკვეთოთ კარგი ხაჭაპურიო. საამისოდ, ზოგი მზადაა, 20 კილომეტრიც კი გაიაროს.

***– ქართველებს ცხელ, ტემპერამენტიან ხალხად მიიჩნევენ. რა არის ამის მიზეზი?***

– ჩემ ქვეყანას ოდითგან ბრძოლა გადარჩენისთვის უხდებოდა და ალბათ ამიტომ. ქართველები მებრძოლები და ტემპერამენტიანები ვართ. გუნდში მწვრთნელები მხოლოდ იმის გამო მიმითითებენ, რომ ბევრ „ყვითელს“ ვიღებ, ზოგჯერ კონტროლს ვკარგავ და აგრესიული ვხდები.

***– კოლეგები ყოველთვის კარგად გახასიათებენ.***

– ალბათ უფრო იმიტომ, რომ უკრაინაში ქართველებს კარგად იცნობენ და ამ 2 ქვეყანას ერთმანეთთან მეგობრული დამოკიდებულება აქვს.

***– ამ მეგობრობის გამომწვევი მიზეზები რა არის?***

– ალბათ ისიც, რომ მეზობლები ვართ და ახლოს ვცხოვრობთ. პლუს, უკრაინაში ბევრი ქართველია და ბევრი უკრაინელი მინახავს საქართველოში „ხაჭაპურის საჭმელად“ ჩამოსული.

***– ქართველები განთქმული თამადები არიან. გვითხარი ერთი სადღეგრძელო, რას უსურვებდი ჩვენს მაყურებელსა და მსმენელს?***

– ცხოვრებაში მთავარი ადამიანური ურთიერთობებია. თუ ერთმანეთი გვიყვარს, ერთმანეთს კარგად ვექცევით, მაშინ ყველაფერი დალაგებულია. ამიტომ გაუმარჯოს სიყვარულს – უმთავრეს გრძნობას, რომელიც გვამოძრავებს და ყველაზე ცუდ მომენტებშიც კი სიყვარული გვშველის.

***– ყოველთვის ისე ჩანს, რომ შემტევი ფეხბურთელები უფრო პოპულარულები არიან. მათ უკეთესი კონტრაქტები აქვთ. ასევე ცნობილი ფაქტია, რომ ოქროს ბურთი მხოლოდ 4 მცველს აქვს მოპოვებული. შენ მცველი ხარ, ეს დისკომფორტს არ გიქმნის?***

– გასაგებია, რომ შემტევი ფეხბურთელი უფრო ჩანს, მაგრამ მე ეს არაფერში მჭირდება. თამაში დაცვაში მეხერხება, ვცდილობ, მაქსიმალურად სასარგებლო ვიყო გუნდისთვის და ისე ვეხმარები, როგორც შემიძლია.

***– რეჟიმს მაქსიმალურად იცავ?***

– იდეალური რეჟიმისტი არ ვარ. არაფრით გამომდის, მაგალითად, 11 საათზე დაძინება. არის პატარ-პატარა დეტალები, რომელიც ხელს მიშლის იდეალურ რეჟიმში ვიმყოფებოდე. სამაგიეროდ, ვცდილობ კვება ვაკონტროლო, რადგან, როგორც ყველა ქართველს, წონის მატებისკენ მაქვს მიდრეკილება და მალე „ვკრეფ“ კილოგრამებს.

***– რის გამოც უარის თქმა გიწევს გემრიელ ქართულ კერძებზე?***

– არ თქვათ. შვებულების დროს თავიდან ერთი კვირა გემრიელად ვჭამ, შემდეგ მთელი თვე წონის დაგდებას ვუნდები.

***– რას იტყვი შენს კლუბზე?***

– ვარ უკრაინის საუკეთესო, ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდში, სადაც ჩემს პოზიციაზე ძალიან ძლიერი ფეხბურთელები თამაშობენ. არ ვამბობ, რომ სუსტი ან ვინმეზე ნაკლები ვარ, მაგრამ ამ მხრივ პრეტენზია არ მაქვს. ჩემი შრომით ვცდილობ დავამტკიცო, რომ ძირითად შემადგენლობაში ადგილს ვიმსახურებ. ჩერნომორეციდან შახტარში გადმოსულს, თავიდან რამდენიმე თვე დამჭირდა, რომ აქაურ ტაქტიკას, გადაადგილებას მივჩვეოდი. შახტარის ფეხბურთსა და იდეოლოგიას უკვე გავეცანი და იმედი მაქვს, კიდევ უფრო მოვუმატებ“.

***– შენი ჩემპიონთა ლიგაში დებიუტი გასული წლის 13 სექტემბერს, ნაპოლისთან შედგა. როგორი გრძნობა გქონდა?***

– თუ შევადარებ სად ვთამაშობდი 2 წლის წინ და სად ვითამაშე სექტემბერში, ალბათ უფრო ზღაპარს ჰგავდა. 2 წლის წინ ერთ-ერთ ქართულ სპორტალს ინტერვიუ მივეცი და ჩემი ოცნება გავამხილე – მეთამაშა ჩემპიონთა ლიგაზე. ეს ოცნება ამიხდა, ამიტომ ახლა ემოციებიდან ვიცლები.

***– ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხარ.***

– ჰო, ცვლილებაზე შესვლა ცოტა ძნელია. როცა სათადარიგო ხარ, გულშემატკივრის როლიდან უცბად უნდა გადაიქცე ფეხბურთელად. მოედანზე უკვე ყველა თამაშშია და იციან ყველაფერი, შენ მალე უნდა ჩაერთო ამ ყველაფერში, რომ გუნდი არ დაალალატო.

***– შახტარის გარდა, რომელ გუნდთან ერთად ისურვებდი ჩემპიონთა ლიგის მოგებას?***

– ბავშვობიდან ერთ გუნდს ვგულშემატკივრობ და ეს მადრიდის რეალია. ჯერჯერობით ხანგრძლივი კონტრაქტი შახტართან მაკავშირებს და არსად წასვლაზე ვფიქრობ. ამიტომ შახტართან ერთად მოვიგებდი ლიგას.

***– როგორ აღნიშნეთ შახტარის ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფში გასვლა?***

– პიცით და წყლით.

***– ჩემპიონთა ლიგის ფინალია, დაინიშნა პენალტი მეტოქის კარში და მწვრთნელი მის შესრულებას გავალებს, როგორ მოიქცევი?***

– პენალტის დარტყმაზე უარს ნამდვილად არ ვიტყვი. რა თქმა უნდა, ვინერვიულებ, მაგრამ მაინც დავარტყამ.

***– ფეხბურთელი რომ არ ყოფილიყავი, ვინ გამოხვიდოდი?***

– რადგან ოჯახში ბევრი ექიმი მყავს, ალბათ მეც ექიმი ვიქნებოდი.

***– აბა სპორტისკენ მიდრეკილება საიდან გაგიჩნდა?***

– სპორტსმენებიც ბევრი მყავს ოჯახში, უბრალოდ ფეხბურთელი არავინ ყოფილა. 6 წლის რომ ვიყავი, მამის მეგობარმა გადაწყვიტა მწვრთნელობა. შეკრიბა 1992-93 წლებში დაბადებულები და ავარჯიშებდა. ძირითადად მეგობრის შვილებს და მოედნის იჯარის ფულსაც მამები იხდიდნენ.

***– რონალდუ თუ მესი?***

– ჩემგან, როგორ რეალის ქომაგისგან, უცნაური იქნება ამის თქმა, მაგრამ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად მესის მივიჩნევ, რომელიც რონალდუზე გაცილებით ძლიერია.

***– შენი ამპლუიდან ვინაა საუკეთესო?***

– სერხიო რამოსი. მას ყველაფერი შეუძლია – დაცვაშიც თამაშობს, შეტევის დაწყებაც და ჩართვაც, გოლებიც ბევრი გააქვს და არის გუნდის ლიდერი.

***– როგორი უნდა იყოს იდეალური ქალი?***

– მთავარია, რომ მასთან კარგად გრძნობდე თავს. რა თქმა უნდა, კარგი გარეგნობა მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს არაა მთავარი. ყოველდღიური ურთიერთობა კომფორტული უნდა იყოს.

***– შენი ჰობი რა არის?***

– ჩოგბურთი. შემიძლია, „დიდი სლემის“ ტურნირების მატჩებს იქამდე ვუყურო, სანამ არ დასრულდება.

***– პირველი ჰონორარი როდის აიღე და რამდენი?***

– 12 წლის ასაკში. 50 დოლარი მქონდა ხელფასი.

***– მანქანა გაქვთ?***

– აქ, უკრაინაში მაქვს მანქანა, რომელიც შახტარმა გამომიყო.

***– შენი საყვარელი ავტომობილი რომელია?***

– ლამბორგინი ავენტადორი.



# ბარსელონამ მელო გადაიბირა

ესპანური მედიის ცნობით, ბარსელონამ ბრაზილიურ გრემიოსთან 21 წლის ნახევარმცველ არტურ მელოს ტრანსფერზე მოლაპარაკებები წარმატებით დაასრულა. დარჩა მხოლოდ სამედიცინო და იურიდიული ფორმალობები.

როგორც ირკვევა, შეთანხმება სწრაფად შედგა და ამის მიზეზი კატალონიური კლუბის თანხმობაა, რომელიც არტურს გრემიოში 2019 წლის იანვრამდე დარჩენის ნებას რთავს.

რაც შეეხება ტრანსფერის დეტალებს, კლუბები 30 მილიონ ევროზე შეთანხმდნენ. ამას დაემატება ბონუსი 10 მილიონი ევროს ოდენობით, რომელიც, შესაძლოა, მცირედით შემცირდეს.

21 წლის ფეხბურთელი გრემიოში 2016 წლიდან თამაშობს. გასულ წელს მან გუნდის ყველა ტურნირის 50 მატჩში ითამაშა და 2 გოლი გაიტანა.

# ბაიერნს იკარდის შეძენა უნდა და ახალ რეგულაციებს აწესებს



მიუნხენის ბაიერნის გულშემატკივრებისათვის საინტერესო ინფორმაციას ავრცელებენ იტალიური გამოცემები. მათი ცნობით, „რეკორდმაისტერი“ დაინტერესებულია მილანის ინტერის რიგებში მოასპარეზე, არგენტინელი შემტევის, მაურო იკარდის ტრანსფერით და ბავარიელები დასახული მიზნის სისრულეში მოსაყვანად კონკრეტულ წინადადებასაც ამზადებენ.

გერმანული გრანდის გარდა, მაურო იკარდის ტრანსფერით დაინტერესებული არიან ლონდონის ჩელსი, მადრიდის რეალი და პსჟ. თავად მილანური კლუბის ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებს ფეხბურთელის შენარჩუნებისათვის და არგენტინელ მოიერიშეს წლიური ხელფასის სახით 6,5 მილიონ ევროს სთავაზობს. თუმცა ფეხბურთელის მეუღლე, რომელიც ამავე დროს მისი აგენტიცაა, გასამრჯელოდ 10 მილიონ ევროს და ბონუსურ სისტემას ითხოვს.

იკარდი ინტერის რიგებში 2013 წლის 9 ივლისს ჩაირიცხა. ფეხბურთელსა და კლუბს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას ვადა 2021 წლის 30 ივნისს ეწურება. მიმდინარე საფეხბურთო სეზონში 24 წლის სამხრეთამერიკელმა თავდამსხმელმა, იტალიის ჩემპიონატის ეგიდით გამართულ 22 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. გახდა 18 გატანილი გოლის და 1 საგოლე პასის ავტორი. ფეხბურთელის მიმდინარე სატრანსფერო ღირებულება 67.5 მილიონ ევროს შეადგენს.

და კიდევ: ბაიერნის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, კლუბის მომავალ თავკაცს სამწვრთნელო შტაბის დაკომპლექტების პრეროგატივა აღარ ექნება. ამ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო კარლო ანჩელოტის მიერ არაკომპეტენტური კადრების მოზიდვის პროცესი, რამაც თავის დროზე, მიუნხენურ კლუბს სერიოზული პრობლემები შეუქმნა.

ახალი რეგულაციების თანახმად, ბაიერნის მომავალ მთავარ მწვრთნელს, უკვე დაკომპლექტებულ კოლექტივთან ერთად მოუწევს მუშაობა და ერთპიროვნული გადაწყვეტილების შესაბამისად, მხოლოდ 2 კადრის მოყვანა შეეძლება, უშუალოდ საკუთარი თანაშემწის და ფიზმომზადების სპეციალისტის პოზიციებზე.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# მოდრიჩმა შესაძლოა პსჟ-სთან განმეორებითი შეხვედრა გამოტოვოს



მადრიდის რეალში რამდენიმე ფეხბურთელს ტრავმა აქვს და მათ შორის არის ლუკა მოდრიჩიც. მოდრიჩს კუნთის დაჭიმულობა აწუხებს და შესაძლოა მან პსჟ-სთან განმეორებითი შეხვედრა გამოტოვოს.

ჯერჯერობით უცნობია, როდის დაბრუნდება მოდრიჩი მოედანზე, მაგრამ რეალის მწვრთნელი ზინედინ ზიდანი ირწმუნება, რომ ხორვატი ფეხბურთელი პსჟ-ს წინააღმდეგ ითამაშებს.

ტრავმა აქვს ასევე მარსელოს, რომელიც მან ბეტისთან შეხვედრაში მიიღო. მარსელოს ტრავმა სერიოზული არ არის და ის მოედანს მალე დაუბრუნდება.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# სუშიში ცოცხალი მოლუსკის კრუნჩხვები ვიდეოზე გადაიღეს

იაპონიის ოსაკას პრეფექტურის ქალაქ კისივადას რესტორანის მომხმარებელმა ვიდეოზე გადაიღო კერძი, რომელიც მის თეფშზე უჩვეულოდ მოძრაობდა.



მან ყურადღება მიაპყრო იმას, რომ მოლუსკი ხოკიგაი, რომელიც მისთვის მირთმეული კერძის შემადგენლობაში შედიოდა, მოძრაობას იწყებდა, როგორც კი მას ჯოხის წვერით შეეხებოდა. ამის მიუხედავად, რესტორნის კლიენტი კერძით კმაყოფილი დარჩა. მისი თქმით, ის განსაკუთრებულად გემრიელი აღმოჩნდა.

მენიუში მითითებული სახელწოდების მიხედვით, მოლუსკები რესტორანს ცოცხალი სახით მიეწოდება.

აღნიშნულმა ვიდეო დიდი განსჯის საგნად იქცა ინტერნეტის მომხმარებელთა შორის. ბევრმა ვარაუდი გამოთქვა, რომ ხოკიგაი ცუდად იყო მომზადებული. სხვები მიიჩნევენ, ვიდეოს ავტორს უნდა უხაროდეს, რომ შეუძლია ინგრედიენტების სიახლეში ეჭვი არ შეეპაროს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ბრიტანელმა ლუდის გამო ნახევარი მსოფლიო გაიარა



ბრიტანეთის ქალაქ პლიმუთის მკვიდრმა ბენ კუმბსმა დაახლოებით 37 ათასი კილომეტრი გაიარა, რათა ლუდი დაელია როგორც უკიდურეს ჩრდილოეთში მდებარე ლუდის ბარში, ისე უკიდურეს სამხრეთში მდებარე ბარში.

კუმბსმა აღიარა, რომ ამ მოგზაურობის იდეა იმ დროს დაებადა, როდესაც თავის საყვარელ სასმელს მიირთმევდა. მისი ექსპედიცია სახელწოდებით „პაბიდან პაბამდე“ არქტიკაში კუნძულ შპიცბერგენზე დაიწყო და სამხრეთ ამერიკაში ცეცხლოვან მიწაზე დასრულდა. მთელი გზა ბრიტანელმა ავტომობილით გაიარა. თავისი გადაადგილების შესახებ ის ფეისბუქში საკუთარ გვერდზე აქვეყნებდა ინფორმაციას.

მის მარშრუტში ყველაზე უკიდურეს ჩრდილოეთის პაბად აღმოჩნდა დაწესებულება დასახლება პირამიდაში, რომელიც კუნძულ შპიცბერგენზე მდებარეობს. კუმბსის თქმით, იქ მუდმივად მხოლოდ ოთხი ადამიანი იმყოფება. ყველანი ძველ სასტუმროში ცხოვრობენ და ბარიც იქვეა განთავსებული.

ყველაზე უკიდურესი სამხრეთის პაბის ძებნის დროს ინგლისელმა შეიტყო, რომ ბარები არის ანტარქტიდაშიც, მაგრამ ისინი იქ ან არალეგალურად მუშაობენ, ან დახურული დასახლებების ნაწილს წარმოადგენენ. ამიტომ ყველაზე უკიდურეს სამხრეთ წერტილად მისთვის იქცა პაბი, რომელიც ჩილეს ქალაქ პუერტო-უილიამსში მდებარეობს და ის ცეცხლოვანი მიწის არქიპელაგში მდებარეობს.

იქამდე მისაღწევად კუმბსმა გაიარა ევროპა, ბრიტანეთის საუთჰემპტონიდან მისი ავტომობილი ნიუ-იორკში გაამგზავრეს. ამის შემდეგ მოგზაური ჩავიდა კალიფორნიაში, გადაკვეთა მექსიკა და ლათინური ამერიკა.

აღსანიშნავია, რომ ბრიტანელს ყველაზე სამხრეთული პაბი არ მოეწონა. მისი თქმით, მთელი მენიუ ლაგერისგან და იაფფასიანი ლუდისგან შედგებოდა, ხოლო ავეჯი პლასტიკატის იყო.

— მართალია ეს არ ყოფილა ძალიან საინტერესო ადგილი, სადამდე მისაღწევადაც 37 ათასი კილომეტრის გავლა ღირდა, მაგრამ ეს მნიშვნელოვანი არ არის. მნიშვნელოვანი მოგზაურობაა და არა დანიშნულების პუნქტი, — განაცხადა ბრიტანელმა ლუდის მოყვარულმა მოგზაურმა.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ასტროპროგნოზი

## 21 თებერვალი



**ვერძი** — მოსალოდნელია საინტერესო ნაცნობობა, რომანტიკული პაემანი. თქვენი ძალისხმევა სასურველ ნაყოფს გამოიღებს. **კურო** — მრავალ ხელსაყრელ პროექტს ხორცს შეასხამთ. ნუ დაივიწყებთ მათ, ვინც ადრე დახმარების ხელი გამოგიწოდათ. **ტყუპები** — მოვლენები თქვენი გეგმის მიხედვით არ განვითარდება. ახლობელთან უსიამოვნო საუბარი გელით. **კირჩხიბი** — რთული დღეა. აუცილებლად განმარტოვდით და დაისვენეთ, თან საკუთარ შეცდომებზე იფიქრეთ. **ლომი** — ნუ აჩქარდებით. ძალზე ემოციური და დაძაბული დღეა. ნერვები მოთოკეთ. **ქალწული** — ერიდეთ ახალგაცნობილ ადამიანებთან კონტაქტს, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **სასწორი** — დაბნეულობის გამო სამუშაო რიტმიდან ამოვარდნილი ხართ. მიზნის მისაღწევად მთელი ძალების კონცენტრაცია დაგჭირდებათ. **ღრიანკალი** — ახალი საქმის დასაწყებად არახელსაყრელი დღეა. ნურაფერს დაგეგმავთ. განიტვირთეთ და დაისვენეთ. **მშვილდოსანი** — ვარსკვლავები გწყალობენ. განსაკუთრებით გაგიმართლებთ ფინანსური ოპერაციების კუთხით. **თხის რქა** — ნუ გარისკავთ. მეორე ნახევრისგან განსაკუთრებულ ყურადღებას გრძნობთ. შესაძლოა, ახალი ნაცნობობა დიდ მეგობრობაში გადაიზარდოს. **მერწყული** — შორს გამგზავრებისაგან თავი შეიკავეთ. მოაწესრიგეთ საოჯახო საქმეები. **თევზები** — მიღებულ ინფორმაციას გადაუმოწმებლად არ ენდოთ. კარგი იქნება, თუ ფიზიკურად დაიტვირთებით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. სახელდახელოდ შეთხზული ლექსი; 2. დიდად განსწავლული, მრავალმხრივი ცოდნის მქონე ადამიანი; 3. საოლქო ცენტრი უკრაინაში; 4. ტაილანდის ძველი სახელწოდება; 5. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 11. მექსიკური არაყი; 12. ინფექციური დაავადების გამავრცელებელი ჩხირისებრი ბაქტერია; 14. წარწერა საბანკო ჩეკზე სხვა პირისთვის მისი გადაცემის შესახებ; 16. ქირურგიული დანა; 17. უკრაინული ფარმაცევტული ფირმა; 19. რაიმეს დამზადების წესი; 21. მამათა მონასტერი; 22. მრავალჯერადი გამოყენების ამერიკული კოსმოსური ხომალდების სერია.

**თარაზულად**: 6. უძველესი უნივერსიტეტი ინგლისში; 7. ჭაობის ნაპირებთან ბინადარი დიდი ბუ; 8. სქელი ქაღალდი; 9. მიწის თხილი; 10. ხურდა ფული აშშ-ში; 13. მუშაობის ხანგრძლივობა რაიმე დარგში; 15. საერთო-სახალხო რეფერენდუმი; 18. ძველებური ქართული ქალ-ვაჟის ცეკვა; 20. ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პერსონაჟი; 21. დაღესტნელთა სახელწოდება ძველად საქართველოში; 23. ქველმოქმედი, მოწყალე, კაცთმოყვარე ადამიანი; 24. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. „აცტეკა“; 2. სოჭი; 3. ტახომეტრი; 4. ბასრა; 5. კაპრიზი; 8. პრერია; 9. კაკაფონია; 12. იშხანი; 14. ალმასი; 16. „იტამი“.

**თარაზულად:** 1. ანტრესოლი; 6. კალევალა; 7. ტყაპუჭი; 9. კულონი; 10. ხაში; 11. „არაბიკა“; 13. ჭვავი; 15. უშქარი; 17. დიორამა; 18. ვარძია; 19. „ოდისეა“; 20. ბიგამია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. შოტლანდია; 2. პანკისი; 3. „მოსადი“; 4. მარკა; 5. პრაიდი; 11. ტირადა; 12. ნევადა; 14. კალა; 16. ენოთეკა; 17. ჰერმესი; 19. ნიქოზია; 21. მამნე; 22. ბოლტი.

**თარაზულად:** 6. კოლორადო; 7. სტატორი; 8. კალია; 9. „კაბუკი“; 10. „დელტა“; 13. ჟიჟკა; 15. თედიაშვილი; 18. კარდენი; 20. ელია; 21. მწყერი; 23. „მარსელიოზა“; 24. სეგუნი.

# ანანურის ინფრასტრუქტურა მოუწესრიგებელია



ხელოვნებათმცოდნე ვლას ვაწაძე საქართველოს მთავრობას აკრიტიკებს და შესაბამის უწყებებს ტურიზმის განვითარებისთვის მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურისთვის ყურადღების მიქცევას სთხოვს.

**ვლას ვაწაძე:**

– ეს ანანურია. არ გეგონოთ 90-იანი წლების თბილისი!

ვის კომპეტენციაში შედის მიხედოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს თუ ტურისტულ ობიექტებს? ძეგლთა დაცვის? არის ასეთი პიროვნება ანთიძე საყდრისის ერთ-ერთი გამანადგურებელი, ადამიანი, რომელიც სხვა კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების განადგურებას უწყობს ხელს, თუკი შემთხვევით აღშფოთდა და დაინტერესდა, რომელსაც ათეულობით ძეგლს ჩამოვუთვლი პირადად...

კულტურის სამინისტროს? 90-იანი წლების მოტრფიალე მინისტრის?

თუ ტურიზმის დეპარტამენტის? ჩოგოვაძის, რომელმაც, მე მგონი, არა მარტო სიტყვა ტურიზმის, არამედ ზოგადად ტურიზმის განმარტება არ იცის!

ეს არის სირცხვილი!

# ნუკას ტაძარი ართვინში ულამაზესი ქართული ეკლესიაა



ქართული ეკლესია-მონასტრები დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე მრავლადაა. მათ შორისაა, ნუკას ტაძარი, ქართული შუასაუკუნოვანი ნაგებობა კარჩხალის ხეობაში.

ეკლესიაზე გადაღებული ულამაზესი ვიდეო, რომლის რეჟისორიც თურქი ფოტოხელოვანია, რეჟისორმა თემო ცაავამ გაავრცელა:

– ნუკას ტაძარი. ქართული შუასაუკუნოვანი ნაგებობა კარჩხალის ხეობაში. ართვინის რაიონი, დღევანდელი თურქეთის ტერიტორია. ერთს დავამატებ, გარდა საკუთარი ხიბლისა, ძალიან კარგადაა გადაღებული, რაც ამ ნაგებობას მატებს უდიდეს შარმს.

# ირაკლი ჩარკვიანის „მენატრებას“ „რეზო და ბავშვები“ შეასრულებენ



ირაკლი ჩარკვიანის სიმღერების შესრულება თითოეული მუსიკოსისა თუ მომღერლისთვის განსაკუთრებული პატივია.

ჯგუფი „რეზო და ბავშვები“ 8 მარტს „სფეისჰოლში“ კონცერტს გამართავენ, სადაც საკუთარ სიმღერებთან ერთად ირაკლი ჩარკვიანის ერთ-ერთ ჰიტს „მენატრებას“ შეასრულებენ.

კონცერტამდე სულ ცოტა დროა დარჩენილი, ამიტომ აქტიური მზადება და უწყვეტი რეპეტიციები უკვე დაწყებულია. მუსიკოსები და მომღერლები [illegible] ახლებურ ვერსიებზე მუშაობენ და მსმენელთან შესახვედრად განსაკუთრებუ-

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ირაკლი კვირიკაძე ბერლინალეზე დააჯილდოვეს



ბერლინში საზეიმოდ გაიხსნა ბერლინალეს საერთაშორისო კინოფესტივალი, სადაც საქართველოს დელეგაციაც მონაწილეობს.

ფესტივალის ფარგლებში შედგა ქართველი რეჟისორის თინათინ ყაჯრიშვილის ფილმის „ჰორიზონტი“ მსოფლიო პრემიერა, ხოლო ახალგაზრდა ქართველი მსახიობი ირაკლი კვირიკაძე სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა.

ირაკლი კვირიკაძე ბერლინალეზე ევროპელი ამომავალი ვარსკვლავების ათეულისთვის შეირჩა. ის პირველი ქართველი მსახიობია, რომელიც ამ სექციისთვის შეარჩიეს. მსახიობს ქართველ ალენ დელონს უწოდებენ. ის ფართო საზოგადოებამ რეზო გიგინეიშვილის ფილმით „მძევლები“ გაიცნო, სადაც მთავარი როლი შეასრულა.

ირაკლი კვირიკაძის გარდა, ევროპელი ამომავალი ვარსკვლავების ათეულში მოხვდნენ იტალიელი, შვედი, ბრიტანელი, ნორვეგიელი, გერმანელი, ბელგიელი, უნგრელი, შვეიცარიელი და ნიდერლანდელი მსახიობები.

ყველაზე ნიჭიერი ევროპელი ამომავალი ვარსკვლავების ათეული ეუროპეან ფილმ პრომოუშენმა გამოაქვეყნა. ახალგაზრდა ვარსკვლავები 4 დღის განმავლობაში ვორქშოპებს დაესწრებიან და ექსპერტებს, რეჟისორებს, პროდიუსერებსა და კასტინგის დირექტორებს შეხვდებიან.

# „გარდიანმა“ დემნა გვასალიას ვრცელი სტატია მიუძღვნა



მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი გამოცემა „გარდიანი“ ქართველი დიზაინერით დემნა გვასალიათი დაინტერესდა და მასზე სტატია მოამზადა.

დემნა სოხუმელია. 36 წლის ქართველი დიზაინერი ბალენციაგას შემოქმედებითი ხელმძღვანელია, თუმცა ეს სულაც არ უშლის ხელს, რომ საკუთარი ბრენდი „ვეტმენტსიც“ ჰქონდეს და კოლექციები სოლიდურ ფასებში გაყიდოს.

დემნასთან ერთად ამ საქმეში ჩართულია მისი ძმა გურამ გვასალია, რომელიც კომერციული დირექტორია და დიზაინერი ძმისთვის ფინანსურ საქმეებს აგვარებს.

„დემნა გვასალია: არ ვფიქრობ, რომ ელეგანტურობა მნიშვნელოვანია“ – ასე ასათაურებს სტატიას „გარდიანი“ და ქართველ დიზაინერს საკმაოდ ვრცელ წერილს უძღვნის:

36 წლის ქართველი, „ბალენციაგას“ კრეატიული დირექტორი, ტრადიციული სტანდარტული მოდით დაიღალა და ფანტაზიას მართლაც არნახული გასაქანი მისცა. რა იქნება შემდეგი, ამაზე საუბარიც კი ძალიან რთულია. იმისათვის, რომ მიხვდეთ, თუ რატომ არის დემნა პარიზის ყველაზე მოთხოვნადი დიზაინერი, უნდა დაივიწყოთ ყველაფერი, რაც კი აქამდე ამ ქალაქის შესახებ იცოდით. დაივიწყეთ კატრინ დენევი, ჯეინ ბირკინი. დაივიწყეთ აბრეშუმის ზედები, მოდური ქურქები. დაივიწყეთ მონმარტზე მოსეირნე ამელი, თუ ლადურეში სავახშმოდ შესული კერი ბრედშოუ.

გვასალიას პარიზი ის პარიზი აღარ არის. ეს არის ზედმეტად თანამედროვე ქალაქი, თავისი ტელეფონის მაღაზიებით, სწრაფი კვების ობიექტებით, ქალაქი, სადაც გლამურული ვიწრო ჯინსებსა და იაფფასიან ჩანთებს ნიშნავს. ქალაქი, სადაც ყველა ქუჩა განსხვავებულ ენაზე ხმაურობს და ეს ყველაფერი ედიტ პიაფის ჰარმონიულობისგან ძალიან შორსაა.

ცოტა ხნის წინ დემნა გვასალიამ მოდის მოყვარულებს და კრიტიკოსებს ვეტმენტსის ახალი კოლექცია წარუდგინა. ექსტრავაგანტური დიზაინერის მიერ შექმნილი მამაკაცი ხაზი, ბუნებრივია, მაღალი მოდის ჩვენებას ნამდვილად არ ჰგავდა. მისი მოდელები, რომლებსაც ყველაფერი პერანგები, მოსაცმელები, ზედები და რამდენიმე შარვალი ერთდროულად ეცვათ, მაღალი მოდის კვირეულისთვის შექმნილი პოდიუმის ნაცვლად, მარკეტის ვიწრო სივრცეში გამოდიოდნენ.

– მე არ ვფიქრობ, რომ ელეგანტურობა მნიშვნელოვანია, – აცხადებს დემნა გვასალია. ის ამჟამად პარიზის სტუდიაში მუშაობს და 4 მარტისთვის დაგეგმილი შოუსთვის ემზადება.

– ვეტემენტს ეს არის ქუჩა. ქუჩაში კი ხალხი ელეგანტურობის შენარჩუნებას ყველაზე ნაკლებად ცდილობს, – ამბობს დიზაინერი.

როგორც წესი, დიზაინერები ყოველ ჩვენებაზე ტანსაცმელს საგულდაგულოდ ინახავენ და მოდელებს შოუმდე რამდენიმე წუთით ადრე აცმევენ. დემნას შემთხვევაში კი ეს წესიც დაირღვა, მოდელები დილიდანვე შემოსეს და ჩვენების დაწყებამდე ისინი დარბაზში დასეირნობდნენ, საუბრობდნენ და ა.შ. შედეგად კი ტანსაცმელი ძალიან ბუნებრივად, რეალურად გამოიყურებოდა.

– ჩვენ, ალბათ, ყველაფერს განსხვავებულად ვაკეთებთ, თუმცა იმავდროულად, ყველაფერი ზუსტად იგივეა. ვეტემენტსის მოსაცმელი იქნება ეს თუ ოტ კუტიურის კაბა, ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის ადამიანია, ვინც მას ატარებს და მასში თავს ბედნიერად გრძნობს., – მიაჩნია დემნა გვასალიას.

დემნა მოდის სამყაროს ახალი ზღაპარია. ქართველი სცენაზე 2014 წელს გამოჩნდა და მას შემდეგ ათასი სრულიად უცნაური და აუხსნელი ნივთი შექმნა. ამან შედეგად ის მოიტანა, რომ ვეტემენტსი მოდის სამყაროს ყველაზე გავლენიან ბრენდად იქცა.

– ჩემს კოლექციებში ყველასაგან განმასხვავებელი ნიშანი პრაგმატიზმია. მოდის სამყარო ეს არ არის რეალური სამყარო და ჩემი აზრებიც ჰიპერრეალისტურია. მე არ მსურს ვიცხოვრო სიზმარში, ეს სიკვდილზე უფრო მოსაწყენი იქნებოდა... გარისკვას ძალიან მივეჩვიე და რისკი უკვე ვეტემენტსის დეენემშია. იმისათვის, რომ მოდის სამყაროში იარსებო, რისკი აუცილებელია“ – ამბობს დიზაინერი.

დემნა გვასალია კი რომ მუდმივად რისკავს, ეს მის კოლექციებს კარგად ეტყობა.

როგორც თავად ამბობს, ამჟამად მისი ახალი გატაცება გულწრფელობაა.

– ნახეთ, რა ხდება ჰოლივუდში. შეხედეთ, რა ხდება ჩვენს გარშემო. ჩვენ უფრო გამჭვირვალეები უნდა ვიყოთ.

ყველაზე უცნაური კოლექციების ავტორი დიზაინერი ტექნოლოგიებითაცაა დაინტერესებული. მისი ახალი პროექტი სწორედ თანამედროვე სამყაროზე და ტექნოლოგიურ ცვლილებებზე იქნება მორგებული.

გარდიანის კითხვაზე, თუ როგორ შეცვლის ის მოდას, დემნას უბრალოდ ეღიმება:

– ჯერ არ ვიცი. მე ხომ მომავალს ვერ ვხედავ. თუმცა, თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერი შეიცვლება.

# 93 წლის მოხითხითე მოხუცებულის ვიდეომ ინტერნეტი დაიპყრო

ინტერნეტის მომხმარებლების დიდი მოწონება გამოიწვია 93 წლის მოხუცი ქალბატონის ვარჯიშმა მხიარული მუსიკის თანხლებით. ვიდეორგოლი 14 თებერვალს ტვიტერში ჯოანა ზანინის გვერდზე გამოქვეყნდა.

– დედაჩემი ამ 93 წლის მოხუცს ავარჯიშებს და ეს ყველაზე მშვენიერია, რაც კი ამქვეყნად შეიძლება იყოს. სიცილი და ღიმილი მას ახალგაზრდობას უბრუნებს, – დაწერა ვიდეორგოლის კომენტარში მისმა ავტორმა გოგონამ.

მოხუცი ქალბატონი სკამზე მჯდომი ვარჯიშობს და თანაც ხითხითებს. მას ყოველთვის არ გამოსდის მწვრთნელის მოძრაობების აყოლა, მაგრამ აშკარაა, რომ ბებიას ეს სულაც არ უფუჭებს ხასიათს.

გამოქვეყნების დღიდან დღემდე ეს ვიდეორგოლი ხუთ მილიონზე მეტმა ადამიანმა ნახა, ასევე მან ასი ათასზე მეტი გაზიარება და თითქმის 300 ათასი მოწონება მიიღო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



## პროგრამა

**ოთხშაბათი**
**21 თებერვალი**

**06.00, 11.40, 15.40** ზამთრის **23**-ე ოლიმპიადა (პ/ე) **09.30** მხ/ფ **"ორმოცდაათი ერთზე"** **11.17** დოკ/ფ "გონების თამაშები" **15.15** ოლიმპიური გადაცემა. **18.00, 21.00** "მოამბე" **18.30** დოკ/ფ "გონების თამაშები" **19.00** ტ/სერ. **"ძველი ხიდის საიდუმლო"** **20.00** ტ/სერ. **"ელემენტარული"** **21.30** "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" **22.30** დოკ/ფ "თოფ-გიარი" **23.20** ჩემპიონთა ლიგის წინასამატჩო გადაცემა **23.40** ჩემპიონთა ლიგის პირველი მერვედფინალური მატჩი. **01.40** მხ/ფ **"ნიჭი "** (კ.რივზი) **03.20** ოლიმპიადა

**06.30, 19.03** სერ. **"დასაწყისი"** **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 05.00** ქრონიკა **10.15, 11.20** სერ. **"ელიფი"** **12.30** იმედის დღე **14.40** სერ. **"ტყუილი"** **16.00** სერ. **"ფული და სიყვარული"** **7** სერ. **17.45** სერ. **"ცოდვილი"** **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. **"ფავორიტი"** **22.00** პრაიმ შოუ **23.30** სერ. **"ღირსების საქმე-2"** **3** სერ. **00.30** მხ/ფ **"ოჯახური პორტრეტი"** **03.20** მხ/ფ **"უკანასკნელი ლეგიონი"** **05.30** მხ/ფ **"მეომრის გზა"**

**06.00, 18.50** სერ. **"მეორე შანსი"** **07.00, 20.35** სერ. **"დიდი ოჯახი"** **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. **"მფარველი ანგელოზი"** **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. **"ბედის ანაბარა"** **15.40** სერ. **"მზიანი დღეები"** **22.00** ნანუკას შოუ **23.30** კომედი შოუ **00.30, 00.00, 01.00** მხ/ფ **01.30** კურიერის დაიჯესტი

tv პირველი **7.50** ან/ფ **8.00** საქმიანი დილა **11.00,** ქალების ნარატივი **12.00** სერ. **"რამონზე შეყვარებული"** **13.00, 17.00, 22.00** საინფორმაციო გამოშვება - NEWS **14.00, 16.00** ლევან ჩხაიძის დღის ამბები **15.00, 22.45, 7.00** საქმის კურსი **17.50, 0.00, 2.00, 4.00** მხ/ფ **20.00** პოლიტმეტრი **23.30** სერ. **"დამალული სიმართლე"**

**08.00** ან/ფ "ატომი" **09.00** სერ. **"ერთხელ ზღაპარში-4"** **12.00** სერ. **"საიდუმლო და ტყუილი"** **9** სერ. **13.00** სერ. **"შილდის აგენტები"** **17.00** სერ. **"ფარი 2"** **19.00** სერ. **"ჯაშუში 4"** **21.00** სერ. **"საიდუმლო და ტყუილი"** **10** სერ. **22.30** სერ. **"სპარტაკი"** **00.30** მხ/ფ **"სიმამაცის კანონი"** **02.30** მხ/ფ **"საგანგებო ექსტრადიცია"** **04.25** მხ/ფ **"სამი მეფე"** **06.20** მხ/ფ **"უტეხი"**

იბერია **08.00** ანიმაცია **08.30** სერ. **"ბანდოლერა"** **10.40, 12.40, 18.05, 19.50** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 17.00, 19.00** ახალი ამბები **11.20, 19.55** მე რომ ვიყო **11.30, 01.30** ბიზნესკოდი **13.30, 17.30** ახალი ამბები არჩილ გამზარდიასთან ერთად **14.30** ექიმის საათი **15.00, 04.20** მოდი გავეყაროთ **16.00, 02.20** ფაბრიკა **18.00** ანონსი **18.10** სერ. **"გაქცეულები"** **20.00, 3.20** თოქ-შოუ "თავისუფალი სივრცე " **21.00** სერ. " **სოლი 23.00** ინტერვიუ ვანიჩკასთან **00.00** ახალი ამბები კოლაჟი

**08.00, 00.00, 02.10** საინფორმაციო დაიჯესტი **08.10** ანიმაცია **09.10, 13.30** დ/ფ **10.00, 19.10** სერ. **"ვასწავლი გიტარაზე დაკვრას"** **10.50** "დილის ტალღა" (სიუჟეტები) **11.10, 20.00, 20.35** თოქ-შოუ "ჰეშთეგი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** "მთავარი" **12.20** "მე ვარ ფერმერი" **13.00** ინგლისური ენის გაკვეთილები **14.30** "პროექცია" **15.30** "რჩეული ფრაგმენტები" **15.40** "ბიბლიოთეკა" **16.15** მხ/ფ **"დაკარგული უქმეები"** **18.30** "ბუნების კანონი" **20.30** ანონსი **20.45** "იყო და არა იყო რა" (საბავშვო გადაცემა) **21.40** "სცენა" **22.00** "კონტექსტი" **22.40** მხ/ფ **"ლამაზი ჯო"** **00.05** მხ/ფ **"რომის დღიური"**

**06.10** დ/ფ "ველური ბუნება" **06.30** მხ/ფ **"ცარიელი ბინა"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** აქტუალური თემა **10.40** მხ/ფ **"დათა თუთაშხია"** **12.00** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ/ფ **"ხევისბერი გოჩა"** **13.35** კონცერტი - ლევ მარკიზი - საქ. სიმფონიეტა **15.05** მხ/ფ **"წარსულის აჩრდილები"** **17.05** კონცერტი - თათია შარანგია **17.35** საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება **18.10** ანდრია კრეტელი - სინანულის დიდი კანონი **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.25** "განთიადი" **20.40** წმინდა ანდრია კრეტელის დიდი კანონი (განმარტება) **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ძილი ნებისა **21.30** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეიდან **00.00** საეკლესიო კალენდარი **00.35** მხ/ფ **"დათა თუთაშხია"** **01.50** კონცერტი - დრეზდენის ოპერის კონცერტი **03.34** მხ/ფ **"ვერდიქტი"** **05.25** დ/ფ "მეფე და ბერი"

მაესტრო **10.00 - 23.00** მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.30 - 3.00** ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**21 თებერვლისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4638

ევრო — 3.0595

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.455

100 რუსული რუბლი — 4.369

## ამინდის პროგნოზი 21 თებერვლისთვის




## 13 თებერვლიდან

ჯონ სტაინბეკი

## კონსერვის რიგი




„კონსერვის რიგი“ დიდი ამერიკელი მწერლის – ჯონ სტაინბეკის ერთ-ერთი გამორჩეული რომანია. წიგნი 1945 წელს გამოიცა და ერთი ქუჩის ცხოვრებას აღწერს დიდი დეპრესიის პერიოდის კალიფორნიის ქალაქ მონტერეიში.

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**

## 22 თებერვლიდან




ეჟენ იონესკო

## განდგომილი

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

## 23 თებერვლიდან

ალექსანდრ ლევკოვსკი

## ყველაზე შორეული ზურგი




წიგნი მოგვითხრობს 1943 წლის ზაფხულის მღელვარე პერიოდზე. მკითხველისთვის საინტერესო იქნება ნაკლებად ცნობილი „ლენდ ლიზი“-ის პროექტის გაცნობა, რომლის მიხედვითაც ამერიკამ მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა კავშირი 11 მილიარდი დოლარის ღირებულების სამხედრო მასალებითა და სურსათით მოამარაგა. რომანში მოქმედება სსრკ-ში, ჩინეთში, ამერიკაში, იტალიაში, ესპანეთსა და წყნარი ოკეანის კუნძულებზე ვითარდება.

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

## ჩელსის კაზემიროს ყიდვა სურს



ლონდონის ჩელსის მადრიდის რეალის ფეხბურთელ კაზემიროს ყიდვა სურს და ლონდონელები მზად არიან, ამ ტრანსფერში 100 მილიონზე მეტი გადაიხადონ.

კაზემირო რეალის ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეა და გასული სეზონის დროს მან რეალის წარმატებებში დიდი როლი ითამაშა. მის მიმართ იყო დაინტერესება რამდენიმე კლუბის მხრიდან, მაგრამ რეალმა კაზემიროს გაყიდვაზე უარი განაცხადა.

ზაფხულში ჩელსის ერთ-ერთი მთავარი სატრანსფერო მიზანი სწორედ კაზემიროს გადაბირება იქნება.

## ბონუჩი იუვენტუსიდან წასვლას ნანობს



მილანის ახალწვეულმა ლეონარდო ბონუჩიმ განაცხადა, რომ იუვენტუსიდან წასვლა უკან გადადგმული ნაბიჯი იყო, მაგრამ მილანში ის თავს ცუდად არ გრძნობს.

ბონუჩის აზრით, მილანი მალე ისევ გაძლიერდება:

– მილანის პროექტმა მომხიბლა და ამ გუნდში ამიტომ გადავედი, თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ იუვენტუსიდან წასვლა იოლი არ არის. მილანმა რთული პერიოდი გადალახა და ამჟამად ჩვენ უკეთესად ვთამაშობთ. მომავალში უფრო გავძლიერდებით.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## იუმორი



ტელეფონით გაცნობის ახალი სამსახური გაიხსნა. ტელეფონი რეკავს:

– ალო, გოგონი?

– დიახ, გისმენთ.

– თქვენი გაცნობა შეიძლება?

– რა თქმა უნდა, მხოლოდ საკუთარი თავი ამიწერეთ...

– ვარ დაბალი, მსუქანი, პირგაუპარსავი, შეუხედავი!

– გივი, შენ ხარ?!

•••

ოსი და ქართველი შევიდნენ მაღაზიაში. ოსმა სამი ფუნთუშა მოიპარა, ჯიბეში დამალა და ქართველს ეუბნება:

– ნახე, სენი წილიმე, ლა კოჩაგი ვარ! ისე მოვიპალე, ლომ პატლონმა ველცკი სენისნა.

– ეგ რა არის, მე ისე გავაკეთებ, რომ პატრონი თვითონ მომცემს ფუნთუშებს.

– ეგ ლოგოლ?

– აი, უყურე.

ქართველი მაღაზიის მეპატრონესთან მივიდა და ეუბნება:

– ერთი ფუნთუშა მომეცი და ფოკუსს გაჩვენებ.

მაღაზიის მეპატრონე დაინტერესდა და მისცა.

ქართველმა ფუნთუშა სწრაფად შეჭამა და ეუბნება:

– ერთიც მომეცი.

მეორეც სწრაფად გადასანსლა და ისევ ეუბნება:

– მესამეც მომეცი და ფოკუსს ნამდვილად გაჩვენებ.

მეპატრონემ მესამეც მისცა. ქართველმა შეჭამა. კაცი ეკითხება:

– და რაში მდგომარეობდა შენი ფოკუსი, ფუნთუშების ჭამაში?

– იმ ოსის ჯიბეში ნახე და იქ იპოვნი შენ ფუნთუშებს.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– თუ შეგიმჩნევია, როდესაც ადამიანი გეუბნება: „წადი შენი...“, ამ დროს დგება და თვითონ მიდის?

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ჰოლანდიაში კბილების კარიესის საკითხი მოგვარებული აქვთ.

– როგორ?

– როგორ და მშობლები კბილის პასტაში სულ რამდენიმე გრამ კოკაინს უმატებენ და ბავშვები კბილებს დღეში ერთხელ ან ორჯერ კი არა სამჯერ, ოთხჯერ და ხუთჯერაც კი იხეხავენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## 15 თებერვლიდან

იაკობ ჯუღაშვილი

## პაპაჩემი სტალინი

წიგნი წარმოადგენს სენსაციურ მემუარებს ბელადის შესახებ. იგი შუქს ჰფენს კრემლისა და ოჯახის ისეთ საიდუმლოებებს, რომლებიც აქამდე უცნობი იყო საზოგადოებისთვის.




**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

## 16 თებერვლიდან




შორენა ლებანიძე

## ეს მე ვარ, ფიროსმანი

რომანი დიდი ქართველი მხატვრის, ნიკო ფიროსმანის ცხოვრების თავისებურ ლიტერატურულ ვერსიას გვთავაზობს, რომელიც დოკუმენტურ მასალებზე, საარქივო წყაროებსა და თანამედროვეთა მიერ მოთხრობილ რეალურ ცნობებზეა დამყარებული.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

## 21 თებერვლიდან

მაკა სეფაშვილის

## დანაშაული აღარ მოხდება

„ქართული დეტექტივის“ მე-8 ტომი




**ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი**

## სერხიო აგუერო უიგანის ფანებს ეჩხუბა

უიგანისა და მანჩესტერ სიტის შეხვედრა სენსაციური ანგარიშით დასრულდა და უიგანმა მეტოქე 1:0 დაამარცხა.

მატჩის შემდეგ უსიამოვნო ინციდენტი მოხდა მოედანზე, როდესაც ფეხბურთელებს გულშემატკივრებთან მოუვიდათ ჩხუბი. განსაკუთრებით სერხიო აგუერო გამოირჩეოდა, რომელიც რაღაცის გამო ძალიან იყო გაბრაზებული და ეს ყველაფერი კამერებმაც დააფიქსირეს.

ინგლისის საფეხბურთო ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტი ამ ინციდენტს განიხილავს და შესაძლოა აგუერომ ხანგრძლივი დისკვალიფიკაციაც კი მიიღოს.

თვითონ ფეხბურთელს ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია.

## ხაბი ალონსოს რეალ სოსიედადის გაწვრთნა სურს



ხაბი ალონსომ კარიერა გასული სეზონის ბოლოს დაასრულა და ის უკვე მწვრთნელობაზე ფიქრობს. ალონსოს თქმით, მას ზუსტად არა აქვს გადაწყვეტილი, გახდება თუ არა მომავალში მწვრთნელი, მაგრამ, სავარაუდოდ, ის აქტიურ ფეხბურთში მალე დაბრუნდება. ალონსომ აღიარა, რომ მას რეალ სოსიედადის გაწვრთნა სურს.

– რეალ სოსიედადში დაბრუნება ჩემი ოცნებაა, რადგან ეს ჩემი მშობლიური გუნდია, სადაც კარიერა დავიწყე. თუ მწვრთნელი გავხდი, ვეცდები, რეალ სოსიედადში ვიმუშაო, თუმცა მესმის, რომ ეს იოლი არ იქნება, – განაცხადა ხაბი ალონსომ.

## კროსვორდი



**შვეულად**: 1. შინაური ცხოველებით მოვაჭრე ძველად; 2. მიწის ფართობის საზომი ერთეული აშშ-ში; 3. ფრანგული ალუბლის ლიქიორი; 4. ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში; 5. ქართული ნაციონალური კერძი; 8. ფულის სარგებლით გამსესხებლის, მევახშის ძველებური სახელწოდება; 9. ოსური ხაჭაპური; 12. ესპანეთის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 14. შემაგრებული ესპანური ღვინო; 16. ერთ-ერთი პირველი კინოთეატრი თბილისში.

**თარაზულად**: 1. რაიონული ცენტრი გურიაში; 6. მუსლიმთა მარხვა; 7. მწერიჭამია ჭაობის მცენარე; 9. ხუთგზის სტალინური პრემიის ლაურეატი ქართველი მსახიობი მამაკაცი; 10. ფულის ერთეული თურქეთში; 11. ტკბილეულის მწარმოებელი ქართული ფირმა; 13. სასარგებლო წიაღისეულის მიწისქვეშა მოპოვების ადგილი, მაღარო; 15. იმრე კალმანის ოპერეტა; 17. ბუნებრივი ნაკრძალი აფხაზეთში; 19. სახალხო დღესასწაული ლათინური ამერიკის ქვეყნებში; 20. ლირიკული სიმღერა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*